171
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

4

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

აპრილი

თბილისი 1975

F 4055

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 1109

ქ. გორის, ბოლნისის, გორის, ლანჩხუთის, წითელწყაროს, ლენტეხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა ნუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. გორის, ბოლნისის, გორის, ლანჩხუთის, ლენტეხის, წითელწყაროს რაონებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ცხოვრების სწორი ორგანიზაციის, მათი კომუნისტური აღზრდისა და სკოლისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები, განათლების განყოფილებებთან ერთად, იღებენ ზომებს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაშლის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა თვის.

ამაღლდა სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების პასუხისმგებლობა, მათ მტკიცე კონტროლი აქვთ დაწესებული დღის რეჟიმის დაცვაზე, ბავშვთა კვების ხარისხისა და კონტინგენტის გეგმის შესრულებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური გარემოს შექმნას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

შემოწმებული რაონების სკოლამდელ დაწესებულებათა შორის შედარებით უკეთესი მუშაობით გამოირჩევიან ქ. გორის №№ 4, 6, გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის, წითელწყაროს № 2, ჯაფარიძის კოლმეურნეობის სკოლამდელი დაწესებულებები (გამგეები თ. რაზმაძე, მ. იაკობაშვილი, ლ. შავდათუაშვ[illegible] ი. მ. ბერიანიძე, ჰ. ნატროშვილი, ნ. მაისურაძე).

ქ. მარქსის სახ. [illegible]

გაიზარდა აღმზრდელთა შრომის ნაყოფიერება, ისინი გეგმიანად წარმართავენ მუშაობას. თავიანთი შესაძლებლობის (კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი უნარის) შესაბამისად გეგმავენ ყოველ სამუშაო დღეს. აღმზრდელები: ნ. ცინცაძე, ც. მიქანაძე, ნ, ხელაძე, ლ. გოგიბერიძე, მ. ღლონტი (ლანჩხუთის რაიონი); თ. გაზდელიანი, თ. ხაბულიანი, ე. ტვილდიანი, თ. ჩაკვეტაძე (ლენტეხის რაიონი); ე. რუდიკი, ნ. ᵃსანიძე, ი. ბაქრაძე, ლ. რეხვიაშვილი (ბოლნისის რაიონი) ცდილობენ ბავშვებს მტკიცედ აათვისებინონ პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, შემოწმებული რაიონების რიგ სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი აღმზრდელი ვერ უზრუნველყოფს სკოლისათვის ბავშვთა სათანადო მომზადებას, ვერ აძლევს საჭირო ცოდნასა და ჩვევებს, რის გამო საბავშვო ბაღიდან სკოლაში მისული ბავშვების ერთი ნაწილი სუსტ მომზადებას ამჟღავნებს როგორც დედაენაში, ასევე მათემატიკის საწყისების ცოდნაში (ლენტეხის საშუალო სკოლისა და სოფ. ნანარის დაწყებითი სკოლების მოსამზადებელი და პირველი კლასები). ლენტეხის რაიონის სოფ. ნანარის (აღმზრდელი ი. ქურსაბედიანი), ბოლნისის № 2 (აღმზრდელი ე. ბრეგვაძე) საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს უჭირთ თავისუფლად მეტყველება, ვერ პასუხობენ მარტივ კითხვებზე, არ იცნობენ მახლობელ გარემოს (ვერ ასახელებენ საცხოვრებელ ადგილს, მისამართს, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქებს და სხვ.), რაც აღზრდის პროგრამით არის გათვალისწინებული.

აღმზრდელთა ერთ ნაწილს აკლია პასუხისმგებლობის შეგნება და მოუმზადებლად ატარებს შეცადინეობებს. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის საბავშვო ბაღის აღმზრდელს თ. ჯანაშვილს ხატვის მეცადინეობაზე ყველა ბავშვისათვის არ ჰქონდა სახატავი ფანქარი, ხოლო სოფ. თეკალის (ლენტეხის რაიონი) საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ლ. ონიანმა წვერწატეხილი ფანქრები დაურიგა ბავშვებს. მანვე, ასაკით შერეული ჯგუფისათვის, არასწორად შეარჩია პროგრამა, არ გამოყო ქვეჯგუფები და 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებს მისცა ერთიდაიგივე დავალება. სუსტად ჩაატარეს მეცადინეობა მშობლიურ ენაში ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ლ. სარჯველაძემ, მუსიკაში-მასწავლებელმა ნ.

ხელაძემ, ძერწვაში—ქ. გორის № 5 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა თ. ჭაჭანაშვილმა, ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს ვერ ითვალისწინებენ აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის ასაკით შერეულ (ერთჯგუფიან) საბავშო-ბაღებში. სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან მუშაობენ საშუალო ჯგუფის პროგრამით, რის გამო ხდება უმცროსი ასაკის ბავშვების გადატვირთვა, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვები პროგრამით გათვალისწინებულ მასალას ვერ გადიან.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში სათანადოდ ვერ აფასებენ თამაშის როლს, რის გამო არასწორად გეგმავენ დილას. მაგალითად, ბოლნისის მეექვსეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის 4-5 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელს ლ. ლორთქიფანიძეს თამაშისათვის განკუთვნილ საათებში, დილით, დაგეგმილი აქვს საუბრების ჩატარება, რაც პროგრამის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება; არაორგანიზებულად აწარმოებს დილით ბავშვების მიღებას ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწერის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბ. გიგინეიშვილი.

სუსტ ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ წითელწყაროს № 1 საბავშვო ბაღის გამგე ნ. შანშიაშვილი ვერ უზრუნველყოფს საბავშო ბაღს პედაგოგიური პროცესებისათვის საჭირო მასალით (ფუნჯები, ფანქრები, პლასტელინი, დიდაქტიკური მასალა და სხვ.). ლანჩხუთის რაიონის სოფ. ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში (გამგე მ. კატალეიშვილი) მცირე რაოდენობით აქვთ სათამაშოები, არ არის მოწყობილი სათამაშო კუთხეები, ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის სხვა საბჭოთა მეურნეობების საბავშვო ბაღებშიც, ზოგან ისედაც მცირე სათამაშოები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზეა დალაგებული, სათამაშოების ნაკლებობას განიცდის გორის რაიონის ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება. დაბალია ლენტეხის რაიონის თეკალის საბავშვო ბაღის გამგის ფ. ხაბულიანის მომზადების დონე და უნარი. მას არ აქვს შედგენილი მიმდინარე სასწავლო წლის სამუშაო გეგმა, გასული წლის გეგმა კი ფორმალურია, იგი ითვალისწინებს მრავალჯგუფიანი საბავშვო ბაღის მუშაობას მაშინ, როდესაც თეკალის საბავშვო ბაღი ერთჯგუფიანია. არასწორად აქვს შედგენილი წლიური სამუშაო გეგმა ბოლნისის რაიონის რატევნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის გამგეს რ. კაპანაძეს.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა

ინფექციური დაავადების თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკურ მუშაობას და ბავშვთა პირადი ჰიგიენის დაცვას. ბოლნისის № 3 საბავშვო ბაღში ბავშვებისათვის სასმელი წყალი პირსაბან ოთახებში თავღია ჭურჭელშია მოთავსებული, წყლის დასალევადაც თითოეულ ჯგუფზე თითო პლასტმასის ფინჯანია გამოყოფილი, ამავე საბავშვო ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ხელს უშლის ის, რომ წყლის ჩამოსარეცხი მოწყობილობა მწყობრიდანაა გამოსული. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ არის დაცული ლანჩხუთის რაიონის ეწერის საბავშვო ბაღის უმცროს ჯგუფში. ორ საკიდზეა მოთავსებული მთელი ჯგუფის აღსაზრდელთა პალტოები, ამავე საბავშვო ბაღში 25 ბავშვზე 20 პირსახოცია. ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სოფ. ორბეთის საბავშვო ბაღში მთელ ჯგუფზე-5, წყალწმინდის საბავშვო ბაღში-9, სოფ. აცანის საბავშვო ბაღში 24 ბავშვზე-7 პირსახოცი მოდის. წითელწყაროს № 1, არხილოსკალოს, ქვემოქედის საბავშვო ბაგებში მოუწესრიგებელია გასახდელები და პირსაცანი კუთხეები. პირსახოცებსა და ტანსაცმლის კარადებზე არ აქვთ ინდივიდუალური ნიშნები. საპირფარეშოები არ მუშავდება ქლორიანი ხსნარით. ლანჩხუთის რაიონის მამათის, აცანის, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. აგარაკის, ბოლნისის შეკენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღებში (აღმზრდელები ი. მოქია, ნ. მკვაბიშვილი, ნ. ხელაძე) სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბავშვებში ჭამის კულტურის აღზრდას-პური მაგიდებზეა დალაგებული, არ აქვთ ხელსაწმენდები.

ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილება ვერ ასრულებს მთავრობის დადგენილებებს სოფლის სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მეთოდურ მუშაობასა და კადრების შერჩევა-დანიშვნის საქმეში დახმარების გაწევის შესახებ, რის გამო სოფლის სკოლამდელ დაწესებულებებში ინიშნებიან შეუფერებელი პირები, რაც იწვევს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩამორჩენას. ამ უკანასკნელ წლებში ლანჩხუთის რაიონის სოფ. აგარაკის საბჭოთა მეურნეობის № 2 საბავშვო ბაღის გამგედ და ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელად დანიშნული არიან ქ. გოგელია და მ. როყვა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო სოფ. წყალწმინდისა და ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობების გამგეებს მ. კუტალეიშვილსა და ნ. მურვანიძეს-სამედიცინო სასწავლებელი. შეუფერებელი განათლების

მქონე პირების დანიშვნის ფაქტებს ადგილი აქვს წითელწყაროს რაიონის განათლების სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებშიც: გასულწელს № 2 ბაგა-ბაღში აღმზრდელად დაინიშნა მათემატიკოსი ც. მამუკელაშვილი.

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებები არ ღებულობენ სათანადო ზომებს სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებების მუშაკთა დახელოვნება-გადამზადებისათვის, რაც აქვეითებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. ლანჩხუთის რაიონის 54 აღმზრდელიდან მხოლოდ 12-ს აქვს გავლილი გადასამზადებელი კურსები, ხოლო ლენტეხის რაიონის საბავშვო ბაღების 52 მუშაკიდან-13-ს. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

ბოლნისის რაიონის ზოგიერთ საბავშვო ბაღში ირღვევა დადგენილი წესი ძირითად და შემცველ აღმზრდელს შორის საათების განაწილების შესახებ, № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ს. მარქარიანი მუშაობს ორ სხვადასხვა ჯგუფში-3,5 საათს ერთ ჯგუფში დილის საათებში, 3, 5 საათს-მეორე ჯგუფში დღის მეორე ნახევარში, რაც უარყოფითად მოქმედებს პედაგოგიური პროცესების სრულყოფილად ჩატარებაზე.

შემოწმებულ რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში მოუწესრიგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეები, განსაკუთრებით შრომის წიგნაკები. არ წარმოებს მუშაკების წასვლა-მოსვლის აღრიცხვა, ზოგიერთ მუშაკს უხდება ზედმეტ საათებში მუშაობა, არ ეძლევათ სპეცტანსაცმელი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შემოწმებული რაიონების აღმასკომებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად იხილება საკითხი სკოლამდელ დაწესებულებებში კვების გაუმჯობესების შესახებ, ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი; არ არის მოგვარებული კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე, რაც აფერხებს ბავშვთა ნორმალურ კვებას.

ლანჩხუთის რაიონის ეწრის, მამათის, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა საბავშვო ბაღებში პროდუქტებს ღებულობენ ფაქტურის გარეშე, ამავე რაიონის სოფ. ეწრის საბავშვო ბაღში შემოწმებისას საწყობში აღმოჩნდა 1 325 გრ. ხორცის დანაკლისი-ნაცვლად 2 125 გრ. ნაშთისა იყო 800 გრამი. ბოლნისის № 3 საბავშვო ბაღში მენიუს ადგენენ ზოგიერთი არარსებული პროდექტის გათვალისწინებით. პროდუქტის მიღებლობის შემთხვევაში აუქმებენ

მენიუ-მოთხოვნილებას და წერენ ახალს. ამავე რაიონის რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში მენიუ-მოთხოვნილებები დაუნომრავია, 22, 23, 24 ოქტომბერს პროდუქტების მიღება-გაცემაზე ხელი არ ქონდათ მოწერილი პასუხისმგებელ პირებს, არ იყო დამტკიცებული გამგის მიერ. წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის საბავშვო ბაღში საუზმე მენიუ-მოთხოვნილების გარეშე გაიცა. ქვემო ქედის საბავშვო ბაღის საწყობში არ აწარმოებენ პროდუქტების ხარჯვის ჟურნალს.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ ნაწილს არ აქს საჭირო დგამ-ავეჯი. ბოლნისის № 2 საბავშვო ბაღის ასაკით შერეულ რუსულ ჯგუფში ბავშვები სხედან უზურგო სკამებზე. ანალოგიური მდგომარეობაა ლენტეხის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში - ადგილობრივი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მიერ დამზადებული სკამები ერთი ზომისაა, თანაც მათ არა აქვთ საზურგეები. დგამ-ავეჯი შესაცვლელია ბოლნისის № 2 და № 3 საბავშვო ბაღებსა და წითელწყაროს რაიონის ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფებში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მიერ არაერთი ბრძანება და სადირექტივო წერილი გაეგზავნა სკოლამდელ დაწესებულებებს, ზამთრისათვის მზადებისა და ხანძარუშიშროების დაცვის შესახებ, რიცი სკოლამდელი დაწესებულებებისა აგვიანებენ ამ საქმის მოგვარებას. მაგალითად, ქ. გორის № 5 ბაგა-ბაღში (გამგე ლ. მაზანდარაშვილი) ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაიწყეს გათბობის ქსელის შეკეთება. ამავე დროისათვის ბოლნისის სკოლამდელ დაწესებულებებში არ ყავდათ აყვანილი ცეცხლფარეშები, არ იყო შემოწმებული ცენტრალური გათბობის ვარგისიანობა. წითელწყაროს რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში შეშა თუმცა მოზიდულია, მაგრამ არ აქვთ შეშის შესანახი საწყობები. ლანჩხუთის რაიონის შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში თუნუქის ღუმელები აქვთ, მაგრამ ისინი დადგმულია სახანძრო უშიშროების წესების დარღვევით.

ზემოაღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებები სათანადოდ ვერ ახორციელებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1974 წლის 21 თებერვლის ერთობლივ დადგენილებას

„სკოლამდელ დაწესებულებათა მიწის ნაკვეთების საუკეთესო დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მათი მიზნობრივად გამოყენებისათვის რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ“.

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა გაატარონ ღონისძიებები სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. ქ. გორის, გორის, ბოლნისის, ლანჩხუთის, ლენტეხის, წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და მიიღონ გადამჭრელი ზომები ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შესაფერისი სასჯელი დააღონ ბრძანებაში აღნიშნულ აღმზრდელებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ნორმალურად დაყენება.

3. აღინიშნოს, რომ სოფ. ეწრის საბავშვო ბაღის გამგე ფ. მექვაბიშვილი მუშაობაში დაშვებული დარღვევებისათვის იმსახურებს მოხსნას, მაგრამ ვითვალისწინებ, რომ იგი არასპეციალისტია, არ აქვს მუშაობის გამოცდილება და ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების მიერ არასწორად იქნა შერჩეული, მიზანშეწ ნილად ჩაითვალოს მისი შესაფერის სამუშაოზე გადაყვანა. საკითხის მოგვარება დაევალოს განათლების განყოფილებას.

4. სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეზე სისტემატური ზედამხედველობის უქონლობისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური ლანჩხუთის რაიონის სოფ. აცანის საბავშვო ბაღის გამგეს თ. გუგუშვილს, წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს საბავშვო ბაღის გამგეს ი. ჩუჩაშვილს, ბოლნისის № 3 საბავშვო ბაღის გამგეს ჟ. ბერძენიშვილს.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მიიღოს საჭირო ზომები მათი სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) 1975 წლის ოქტომბერში შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 26 დეკემბრის დადგენილება.

განათლების მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ბრძანება № 51—№ 37

1975 წ. 27 იანვარი ქ. თბილისი

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ზოგადი საშუალო განათლებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილებას „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ", განათლების ადგილობრივი ორგანოები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და საღამოს სკოლები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად ზოგადი საშუალო განათლებით.

იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, სადაც არ ხორციელდება ახალგაზრდების ზოგადი საშუალო განათლება, ჩაბმული არიან საღამოს სკოლებში. რესპუბლიკის მიერ ქალაქსა და რაიონში კარგად არის ორგანიზებული მათი სწავლება. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებს შორის მჭიდრო კავშირია დამყარებული. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ საჭირო პირობები ნორმალურად სწავლისათვის. ერთობლივი ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე დასაყენებლად. ამ მხრივ კარგ მაგალითებს ძლევიან ქ. თბილისის 71-ე, ქუთაისის 37-ე, ტყიბულის მე-19, წითელწყაროს 72-ე და მთელი

რიგი სხვა პროფტექნიკური სასწავლებლები და შესაბამისი საღამოს სკოლები. ბევრგან კარგად არის შეთანხმებული პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საღამოს სკოლების დღის რეჟიმი,-მოსწავლეთა ხანგრძლივ საწარმოო პრაქტიკაზე წასვლის შემთხვევებში პრაქტიკის დგილზე აბამენ მათ საღამოს სკოლებში და ა. შ.

მაგრამ, შემოწმებამ ცხადყო, რომ, ჩატარებული მუშაობის მიუხედავად, ამ საქმეში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

ამჟამად რესპუბლიკის 22 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც ახალგაზრდების საშუალო განათლება არ ხორციელდება, სწავლობს 7972 მოსწავლე, რომელთაგან საშუალო განათლება არ აქვს 5176-ს, მათ შორის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სწავლობს 4780, ხოლო 400-მდე ახალგაზრდა დარჩენილია ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების გარეშე. რუსთავის მე-17 პროფტექნიკური სასწავლებლის 543 მოსწავლიდან, რომელთაც საშუალო განათლება არ აქვთ, საღამოს სკოლებში არ სწავლობს 102, ტყვარჩელის 22-ე პროფტექნიკური სჩსწავლებლის 204 საშუალოდაუმთავრებელი მოსწავლიდან ზოგად განათლებას არ იმაღლებს 80, გარდაბნის 47-ე პროფტექნიკური სასწავლებლის 469 მოსწავლიდან-45, ხაშურის 64-ე სასწავლებლის 136 მოსწავლიდან-49, გალის 50-ე სასწავლებლის 155 მოსწავლიდან-40, თელავის 52-ე სასწავლებლის 180 მოსწავლიდან-21, ახალქალაქის 82-ე სასწავლებლის 118 მოსწავლიდან-16, მარნეულის 70-ე სასწავლებლის 215 მოსწავლიდან-13, თბილისის 27-ე სასწავლებლის 173 მოსწავლიდან-11 და ა. შ. გარდაბნის პროფტექნიკურ სასწავლებელში საღამოს სკოლებში ჩაბმულ მოსწავლეთა აღრიცხვაც კი არ არის მოწესრიგებული. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ აღნიშნულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებს შორის არ არის დამყარებული საქმიანი ურთიერთობა. პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელები არ იჩენენ საჭირო დაინტერესებას მოსწავლეთა ზოგადი საშუალო განათლებით უზრუნველყოფისათვის, ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესში ახალგაზრდობის და განსაკუთრებით კვალიფიციური მუშათა კადრების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ამ საქმისადმი ყურადღების შესუსტების შედეგია ისიც, რომ ზოგან დაბალია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება საღამოს სკოლებში. თელავის 52-ე პროფტექნიკური სასწავლებლის 29 მოსწავლე გასულ სასწავლო წლის ბოლოს, აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, დატოვებულ იქნა საღამოს სკოლების იმავე კლასებში, გალის 50-ე პროფტექნიკური სასწავლებლის 115 მოსწავლიდან საღამოს სკოლებში ვერ ასწრებს-14, თელავის 52-ე სასწავლებლის 119 მოსწავლიდან-29, წითელწყაროს 72-ე სასწავლებლის 97 მოსწავლიდან-19 და ა. შ.

ზოგან, საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს, არ ითვალისწინებენ საღამოს სკოლებში სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ პროცესებს; პრაქტიკაზე ყოფნისას წყვეტენ მოსწავლეებს ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებიდან. ასეთი მდგომარეობაა თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11, ახალქალაქის 82-ე, მარნეულის 70-ე და სხვა სასწავლებლებში. ამ მიზეზით, აგრეთვე საკმაო კონტროლის დაუწესებლობითაა გამოწვეული მოსწავლეთა მიერ საღამოს სკოლებში გაკვეთილების დიდი რაოდენობით გაცდენები. მიმდინარე სასწავლო წლის სექტემბერ-ნოემბერში თბილისის მე-11 სასწავლებლის მოსწავლეებმა საღამოს სკოლაში გააცდინეს 21000 აკადემიური საათი, თელავის 52-ე სასწავლებლის მოსწავლეებმა-4223 საათი, წითელწყაროს 72-ე სასწავლებლის მოსწავლეებმა-8755 საათი და ა. შ. ყოველივეს დიდად აფერხებს სწავლებს პროცესს და აქვეითებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონეს.

გამომდინარე აღნიშნულიდან;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

რესპუბლიკის პროფესიულ—ტექნიკური სასწავლებლებისა და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადი საშუალო განათლების უზრუნველსაყოფად და თავიანთ საქმიანობას ამ მხრივ მტკიცედ დაუდონ საფუძვლად „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილება.

ამ მიზნით:

ა) ყოველდღიური საქმიანი ურთიერთკავშირი დაამყარონ პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საღამოს სკოლების, მათი პედაგოგიური კოლექტივების, საწარმოო სწავლების ოსტატებისა და კლასების ხელმძღვანელთა შორის;

ბ) პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაუმჯობესებით მიაღწიონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლე, საშუალო განთლების არმქონე, ყველა ახალგაზრდისა ჩაბმას საღამოს და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში და უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინგენტის სრულად შენარჩუნება;

გ) პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა ყველა პირობა შეუქმნან საღამოს სკოლებში ჩაბმულ მოსწავლეებს პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების უნარიანად შეხამებისათვის, დაუბრკოლებლივ განახორციელონ საღამოს სკოლების მოსწავლეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები; არ დაუშვან მოსწავლეთა გადატვირთვის შემთხვევები; ხელი შეუწყონ საღამოს სკოლებს სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში;

დ) პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა და საღამოს საშუალო სკოლებმა ურთიერთშეთანხმებით იმდაგვარად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და დღის რეჟიმი, რომ მოწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ რეგულარულად დაესწრონ გაკვეთილებს საღამოს სკოლებში და დაძლიონ პროგრამული მასალა;

ყველა სასწავლებელში ისე მოაგვარონ საქმე, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლის, აგრეთვე არდადეგების პერიოდში საღამოს სკოლების მოსწავლეები არ მოწყდნენ სწავლას.

ე) ყოველდღიური დახმარება და ზედამხედველობა გაუწიონ ახალგაზრდებს სწავლაში, მიაღწიონ აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას; მკვეთრად აამაღლონ ამ საქმეში კლასების ხელმძღვანელების, საწარმოო სწავლების ოსტატების, პედაგოგების პასუხისმგებლობა, საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ მოსწავლეთა მშობლებთან;

ვ) საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ქმედითი ღონისძიებებით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მიაღწიონ თვითეული საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას, საამისოდ ფართოდ გამოიყენონ ტექნიკური საშუალებები და თვალსაჩინოება;

ზ) საღამოსა და დაუსწარებელი სკოლების დირექტორებმა საჭირო ღონისძიებები გაატარონ საიმისოდ, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების იმ კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც ვერ მიიღეს საშუალო განათლება, სწავლა განაგრძონ მათ სამუშაოდ განაწილების ადგილებზე.

2. პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საღამოს სკოლების დირექტორებმა ეს ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიების 1975 წლის 23 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
ი. შევარდნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 28 იანვარის ბრძანება № 54

სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის № 39 დადგენილების შესრულების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად რიგ სამინისტროებში, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აღმოჩენილ იქნა სერიოზული დარღვევები სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების საქმეში.

რიგ შემთხვევებში სამკერდე ნიშნები წესდება და მზადდება საქართველოს პროფსაბჭოსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვის გარეშე, ამასთან, ნიშნები მზადდება დაბალ იდეურ-მხატვრულ დონეზე. ადგილი აქვს სამკერდე ნიშნების დასამზადებლად თანხების არსწორად ხარჯვასა და წარმოების ნარჩენების ნაცვლად დეფიციტური ფერადი ლითონების გამოყენებას.

შემოწმებულ ობიექტებს შორის, სადაც აღმოჩენილ იქნა მსგავსი დარღვევები, დასახელებულია ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილება, რომელმაც 1974 წელს, სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი თანხებიდან დაამზადა 1500 ცალი ნიშანი „26 კომისრის რაიონის კურსდამთავრებული-74“ და ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური, რომელმაც 1972 წელს დაამზადა 1000 ცალი ნიშანი „ნორჩი მოგზაური“.

მომავალში აღნიშნული დარღვევების თავიდან აცილებისა და სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 დეკემბრის № 1375, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მაისის № 343 და 1974 წლის 27 დეკემბრის № 39 დადგენილებების განუხრელად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღინიშნოს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ამხ. კ. სუჯაშვილი) და ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის (ყოფილი დირექტორი ამხ. მ. ერისთავი) მიერ სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების წესის უხეშად დარღვევა და გაფრთხილებულ იქნან ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომ მსგავსი დარღვევის განმეორების შემთხვევაში მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

2. რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტებისა და განათლების სამინისტროს უწყების ყველა სხვა დაწესებულების ხელმძღვანელებს კატეგორიულად აეკრძალოთ საკუთარი ინიციატივით სამკერდე ნიშნების დაწესება და დამზადება.

3. ნიშნების დამზადების საჭიროების ყველა ცალკეულ შემთხვევაში საკითხი დააყენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქ. ლაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღნიშნული ბრძანება გააცნონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და უწყებაში შემავალი სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

ბ) მსჯელობა იქონიონ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ამ საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ. გაატარონ საჭირო ღონისძიებები და შედეგები 1975 წლის 15 თებერვალამდე აცნობონ განათლების სამინისტროს.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) დაუყოვნებლივ დაიყვანოს აღნიშნული ბრძანება სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლა-

კ. მარქსის სახ. ს. ს. ს. ს. ს.
საბჭოთა რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

მდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტების ხელმძღვანელებამდე;

ბ) დააწესოს მტკიცე კონტროლი ამ ბრძანების განუხრელად შესრულების საქმეზე;

გ) 1975 წლის 1 მარტისათვის მოამზადოს მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 23 იანვრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ვ. ლაშქარაშვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 29 იანვრის გრძანება № 58

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწყებულებების ამოცანების შესახებ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა წარმოადგენენ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომელთაც რესპუბლიკის მშრომელები, მათ შორის სახალხო განათლების დარგის მუშაკები, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ IX ხუთწლედის განვლილ ოთხწლეულში მიღწეულია სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარება მთლიანად, გადადგმულია დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე; ამავე დროს 1975 წლის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის. ყველა დავალების და მაჩვენებლებლის დროული შესრულება მტკიცე საფუძველს ჩაუყრის მომდევნო, მეათე ხუთწლედში წარმატებით მუშაობას.

ამასთან, 1975 წელი-ეს არის ფაშიზმზე დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების 30 წლისათვის აღნიშვნის წელი, რაც უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს მოზარდი თაობის საბჭოთა პატრიოტული და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვას, დეკემბრის (1974 წელი) პლენუმის გადაწვეტილებებს, სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც სულ უფრო მეტად ისახება ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში შემდგომი აღმავლობის სათანადო მორალურ-პოლიტიკური კლიმატის საბოლოო დამკვიდრებისათვის ბრძოლის მტკიცე კურსი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ლენინური პრინციპებისა და ნორმების სრული აღდგენის პირველი პოზიტიური შედეგები.

1975 წელს საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებლების, სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკების ძირითადი ამოცანაა პირნათლად შეასრულონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება-დაამთავრონ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადაყვანა.

მიღწეულ უნდა იქნეს, რომ ყველა ახალგაზრდა ამთავრდებდეს რვაწლიან სკოლას, ყველა რვაკლასდამთავრებული ჩაბმულ იქნეს საშუალო განათლების მიღების ამა თუ იმ ფორმაში, ფართოდ გაიშალოს მომუშავე ახალგაზრდობის დასწრებულ-დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, გაფართოვდეს სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი, უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად უნდა განმტკიცდეს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზა; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის სკოლის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, რისთვისაც გამოყოფილია დიდძალი ფულადი ასიგნებანი და მატერიალური რესურსები.

ჩვენს მასწავლებლობას და სახალხო განათლების მუშაკებს აღაფრთოვანებს პარტიის მიმართვაში აღნიშნული სიტყვები:

„იბრძოლეთ საბჭოთა კულტურის, სახალხო განათლების... შემდგომი აყვავებისათვის“;

„კვლავაც პარტიის ერთგული თანაშემწენი იყავით, რათა აღზარდოთ ახალი ადამიანი, ჩვენი ახალგაზრდობა კომუნიზმის იდეალების საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“.

ხელმძღვანელობს რა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებით, სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვით, ამ საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წერილით „სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობისათვის", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიაჩნია, რომ 1975 წელს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების მთავარი ამოცანაა თავდადებული შრომა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, კონტროლისა და თვითკონტროლის გაძლიერება, დისციპლინისა და თვითდისციპლინის განმტკიცება, ღონისძიებათა გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ IX ხუთწლედის მთლიანად და 1975 წლის-ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყველა დავალებისა და მაჩვენებლის უთუო შერულებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწონებულ იქნეს მთლიანად და სავსებით, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცკ გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, ამ დოკუმენტებსა და გამოსვლაში მოცემული დებულებები და დასკვნები.

2. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცკ გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, ამ საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წერილი „სახალხო განათლების შემდგომი ამაღლებისათვის" საფუძველად დაედოს რესპუბლიკაში შემავალ ასსრ განათლების სამინისტროების ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების, სასწავლო-საღმზრდელო და სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებების მთელს საქმიანობას.

3. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის

(1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა დამტკიცდეს.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის აოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) კოლეგიების, განათლების განყოფილებათა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, სამეცნიერო საბჭოებზე, აპარატის საწარმოო თათბირებზე განიხილონ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყეტილებანი, სკკპ ცკ გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, ამ საკითხებზე საქართველოსკპ ცკ-ის დადგენილებანი, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს წერილი „სახალხო განათლების შემდგომი ამაღლებისათვის" და აღნიშნული ბრძანება;

ბ) სკკპ ცკ-ის მიმართვის, სკკპ ცკ-ის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყეტილებების შესასრულებლად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა უთუო შესრულება ხელს შეუწყობს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს პარტიის XXIV ყრილობის მიერ სახალხო განათლების წინაშე დაყენებული ამოცანების წარმატებით განხორციელებას;

გ) სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების განყოფილებებისა და სამინისტროების კოლექტივებში მოაწყონ მიმართვის ტექსტის, დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ყოველმხრივ განხილვა და ღრმა შესწავლა, ხოლო მოსწავლეებში მათი ასაკისათვის მისაწვდომ ფორმებში ამ მასალების გაცნობა;

დ) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სკოლების ახალი, 1975-1976 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის;

ე) მთავარი ყურადღება მიაქციონ:

—1975 წლის გეგმიური დავალებების ხარისხიანად და დროულად შესრულებას;

—საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას;

—სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას;

—მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ხარისხის ამაღლებას;

—მოსწავლე ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლ[illegible] მხედველობის, კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის მოსწრაფებების ფორმირებას;

—საყოველთაო-სავალდებული რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას;

—მშენებლობის დარგში 1975 წლის ყველა ობიექტის დროულად დამთავრებას;

—სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას, თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარიღებით სკოლების უკეთ მომარაგებას;

—შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციული მუშაობის შემდგომ ამაღლებას;

—სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თითოეული მასწავლებლისა და აღმზრდელის, ინსპექტორისა და მეთოდისტის, მეცნიერ-მუშაკისა და ხელმძღვანელის შრომის ეფექტიურობის ამაღლებას;

გაუმჯობესონ კადრების შერჩევის, აღზრდის, კვალიფიკაციის ამღლების, დაწინაურების საქმე. მეტი ყურადღება მიაქცონ მიწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებულ დადგენილებათა, ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულებაზე სისტემატური კონტროლის დაწესებას;

ი) გაამახვილონ ყურადღება ქალაქისა და სოფლის სკოლების კოლექტივებს შორის კავშირის გაფართოებაზე და განმტკიცებაზე;

კ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში მასობრივი, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, გააძლიერონ მშობლებში პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ინსტიტუტების დირექტორებმა, განათლების სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულმა რესპუბლიკური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა 1975 წლის 10 სექტემბრისა და 1976 წლის 10 იანვრისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათები ამ ბრძანების

შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღნიშნული ბრძანება და ღონისძიებათა გეგმა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში, დაიბეჭდოს ცალკე ბროშურად და ერთი კვირის ვადაში დაეგზავნოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

7. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა საჭირო კონტროლი განახორციელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული საკითხების დროულად და სარისხიანად შესრულებაზე.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე და პერიოდულად მოამახსენოს მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 23 იანვრის დადგენილება

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1975 წლის 9 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1975 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად

განხილული და მოწონებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1975 წლის 23 იანვარს

ღონისძიებათა გეგმა

II	ღონისძიებების დასახელება	ვადა	პასუხისმგებელი შესრულებისათვის	შენიშვნა
1	2	3	4	5
1.	პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილების ღრმა და საფუძველიანი შესწავლა მასწავლებლებისა და განათლების დარგის მუშაკების მიერ	1975 წლის მანძილზე	სკოლების დირექტორები, განყოფილებების გამგეები, სამინისტროები, სამმართველო-განყოფილებათა უფროსები	
2.	მოსწავლეებამდე ასაკისათვის მისაწვდომ ფორმებში გაკვეთილებზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინებში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით სკკპ ცკ-ის მიმართვების ძირითადი იდეების დაყვანა.	1975 წლის ივნისამდე	სკოლებში-მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები, ორგანიზატორები	
3.	დაყვანილ იქნეს სახალხო განათლების ყველა რგოლამდე 1975-76 სასწავლო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლები, დაწესდეს მტკიცე კონტროლი მთლიანად IX ხუთწლედისა და დამამთავრებელი 1975 წლის მაჩვენებლებისა და დავალებების უთუო შესრულებაზე.	წლის მანძილზე	საგეგმო-საფინანსო, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების სამმართველოები, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება	

1	2	3	4	5
4.	1975 წელს მთავარი ყურადღება მიექცეს საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დროულად დამთავრებას, ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას, ამ მიზნით: ა) კომუნიზმის იდეებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას; ბ) განხორციელდეს მკაცრი კონტროლი სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდგომი დადგენილებების, საქართველოს კპ ცკ-ის XIII და XIV პლენუმების გადაწყვეტილებების შესრულებაზე; ვ) დაწესდეს კოლეგიაზე ყოველ კვარტალში 1-2 სახალხო განათლების განყოფილების გამგის ანგარიშის მოსმენა ამ დადგენილებათა ცალკერებაში განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.	1975 წლის მანძილზე	სკოლების, საალმ-ზრდელო, სკოლა-ინ-ტერნატებისა და საღამოს სკოლების სამმართველოები	

1	2	3	4
5.	სისტემატური დახმარება გაეწიოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს სასკოლო და სკოლამდელი ქსელის გეგმიურ დავალებათა შესასრულებლად; პირველ რიგში ყურადღება მიექცეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებას, სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გეგმის შესრულებას.	წლის მანძილზე	რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკური სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების გაყოფილება,
6.	1975 წლის მანძილზე, ყოველ კვარტალში ერთხელ, მოსმენილ იქნეს განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ანგარიში სახალხო განათლების ობიექტების მშენებლობის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.	ყოველ კვარტალში ერთხელ, წლის მანძილზე	კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
7.	სისტემატური დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს მშობლიური და რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში.	მთელი წლის მანძილზე	სკოლების სამმართველო ინსტიტუტებთან და მეთოდურ კაბინეტთან ერთად

1	2	3	4	5
8	კონტროლი და პრაქტიკული დახმარება გაეწიოს სკოლებსა და განათლების განყოფილებებს იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ნაკლოვანებებია საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში	წლის მანძილზე	სკოლების სამმართველო, ზონების ინსპექტორები, საგეგმო-საფინანსო სამმართველო	
9	სისტემატურად შემოწმდეს ქალაქებსა და რაიონებში სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მიმდინარეობა იმ ვარაუდით, რომ ეს ღონისძიება რესპუბლიკაში მთლიანად დამთავრდეს 1977 წელს.	-„-	სკოლების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო	
10	გაანალიზდეს გახანგრძლივებულ სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის მდგომარეობა და შემუშავდეს ამ ქსელის შემდგომი გაშლისათვის საჭირო რეკომენდაციები.	-„-	საგეგმო-საფინანსო სამმართველო, სკოლების სამმართველო	
11	შემუშავდეს განათლების განყოფილებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროფტექნიკუმების, ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებები მომუშავე ახალგაზრდობის მიერ წარმოებიდან მოუწყვეტლად საშუალო განათლების მიღების ოპტიმალური პირობების შექმნისათვის (სპეციალური გეგმით).	1975 წლის II კვარტალი	საოამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად	

1	2	3	4	5
12	დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავდეს გეგმა 1980 წლამდე სალამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში	1975 წლის -I ნახევარი	სალამოს სკოლების სამმართველო	
13	გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და მოსამზადებელ განყოფილებებზე სოფლის სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის კონკურსგარეშე მიღების ორგანიზაციისათვის (შერჩევა, მომზადება, ჩარიცხვა)	1975 წლის ივლისი, აგვისტო, ოქტომბერი	კადრების განყოფილება, სკოლების სამმართველო, განათლების განყოფილება, სკოლის დირექტორი	
14	გატარდეს ღონისძიებანი, რათა 1975 წელს რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულების 75% სამუშაოდ გაიგზავნის სოფლის სკოლებში	1975 წლის I სექტემბრამდე	კადრების გაყოფილება, უმაღლ. განს. სამინისტროსა და პედ. ინსტიტუტების რექტორებთან ერთად	
15	ყველა სახის მასწავლებელთა გადამზადების კურსების გავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მასწავლებლების კვალიფიკაციისა და მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საქმეს	წლის მანძილზე	მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ქალაქის დახელოვნების ინსტიტუტი	

1	2	3	4	5
16	აქტიურად ჩააბან რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების უფროსკლასელები ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო შრომაში, შრომისა და დასვენების ბანაკების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, რგოლების მუშაობაში	ივნისი, ივლისი, აგვისტო	სკოლები, განათლების ორგანოები კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად	
17	სისტემატურად გატარდეს ღონისძიებები სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების განსახორციელებლად, კერძოდ სოფლის სკოლების მშენებლობისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში	წლის მანძილზე	სკოლების, საგეგმო-საფინანსო და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები, სახალხო განათლების ორგანოები	
18	მეტი ყურადღება მიექცეს სკოლების კაბინეტების აღჭურვას, რისთვისაც გაუმჯობესდეს ტექნიკური საშუალებებით, სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით სკოლების მომარაგება	წლის მანძილზე	სკოლების, მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოები	

1	2	3	4	5
19	ადაპრიორ ამაღლდეს სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ხარისხი. გაძლიერდეს ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმისადმი მისწრაფების ფორმირება	წლის მანძილზე	სკოლების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოები	
20	ამაღლდეს თვითეული მასწავლებლისა და აღმზრდელის, ინსპექტორისა და მეთოდისტის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის შრომის ეფექტურობა	1975 წლის იანვარი	საქ. სსრ განათლების სამინისტრო, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი	
21	პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად გამოცხადდეს სოციალისტური შეჯიბრება სკოლების 1975-76 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადების, საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებისა და სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების საქმეში			
22	ორგანიზებულად ჩატარდეს მასწავლებელთა ნაწილობრივი ატესტაცია რესპუბლიკის 4 ქალაქსა და რაიონში.	წლის მანძილზე	რესპუბლიკის საატესტაციოკომისია, კადრების განყოფილება, რაიონის განათლების განყოფილებები	

1	2	3	4	5
23	პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად გამოცხადდეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის ზოგად-საგანმანათლებლო საშუალო სკოლებს შორის 1975 წელს საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქ. ალკკ ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად.	1975 წლის იანვარი	საქ. სსრ განათლების სამინისტრო, განათლ. მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი	
24	სისტემატური ყურადღება მიექცეს 1975 წელს სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა სახლების. მშენებლობის გეგმის შესრულებას და სასკოლო ინტერნატებში ალსაზრდელებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას	წლის მანძილზე	კაპიტალური მშენებლობის, საგეგმო-საფინანსო, სკოლების სამმართველოები	
25	გაანალიზდეს რესპუბლიკაში სახალხო განათლების მდგომარეობა 1973-74 სასწავლო წლის მანძილზე, დაიბეჭდოს ეს მასალა ცალკე ბროშურად და დაეგზავნოს იგი დაინტერესებულ ორგანოებსა და სახალხო განათლების ორგანოებს	1975 წლის იანვარი	საგეგმო-საფინანსო, სასწავლო-ალმზრდელობითა სამმართველოები	

1	2	3	4	5
26	გაანალიზდეს 1971-74 წლების მანძილზე სახალხო განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში და ამ ანალიზის გათვალისწინებით დახმარება გაეწიოს ჩამორჩენილ ტერიტორიებს.	1975 წლის I კვარტალში	საგეგმო-საფინანსო და სკოლების სამმართველო	
27	ამაღლდეს სახალხო განათლების სისტემის მუშაკების, მასწავლებლების პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, გაიშალოს შემოქმედებითი მუშაობა IX ხუთწლედის მთლიანად და დროულად შესრულების საქმეში			
28	მიღებული დადგენილებების, ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებაზე სისტემატური კონტროლის დაწესება	წლის მანძილზე	განათლების სისტემის ყველა რგოლი	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 7 თებერვლის ბრძანება № 94

ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდური მუშაობის შესწავლის შესახებ

როგორც ადგილზე საკითხის შესწავლით გამოირკვა, რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები და განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი გარკვეულ დადებით მუშაობას ეწევიან ახალი სასწავლო პროგრამებითა სახელმძღვანელოებით მუშაობის პირობებში მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გასაწევად,

მეთოდურ კაბინეტს შედგენილი აქვს ნახევარწლიური სამუშაო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ჩამოყალიბებულია მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი. მეთოდურ კაბინეტთან შექმნილია 25 სარაიონო საგნობრივი მეთოდური გაერთიანება. მოწინავე მასწავლებელთა მიერ ტარდება ღია გაკვეთილები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, დამაკმაყოფილებლად მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება (ხელმძღვანელი ც. ამაშუკელი). გედსამანიის რვაწლიან სკოლაში შექმნილია მეთოდური კუთხე. კაბინეტის მეთოდისტები, განყოფილების მუშაკებთან ერთად ამოწმებენ სკოლების მუშაობას, სკოლების შესწავლის შედეგებზე წერენ მოხსენებით ბარათებს, სათანადო რეკომენდაციებით და სხვა.

მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტს, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მეთოდური მუშაობის საქმეში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. ლაშის, ღორე-

შისა და კიცხის საშუალო, გედსამანიისა ფარცხნალის რვაწლიანი სკოლების ხელმძღვანელები პ. კვინიკაძე: პ. იჩქიტიძე, ფ. გელაშვილი, ბ. ლომიძე და უ. ვეთხვაძე არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური და თეორიულ-მეცნიერული დონის ამაღლების საკითხებს. ლაშის, ღორეშისა და კიცხის საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლები: ლ. ორჯონიკიძე, ი. გაჩეჩილაძე, ი. ბედიაშვილი და ე. შველიძე ფიზიკის სწავლებისას კვლავ ძველი, პერიშკინის სახელმძღვანელოს გავლენას განიცდიან, მრავალ სასწავლო მასალას (დოლილი, სითბო, თანაბარი მოძრაობა წრეხაზზე, ნივთიერებათა აგრეგატულ მდგომარეობათა დიაგრამა და სხვ.) ვერ აძლევენ ახალ, დაზუსტებულ შინაარსს, რის გამოც სახელმძღვანელოში შეტანილი ბევრი საკითხი მოსწავლეთათვის ძნელად გასაგები ხდება.

მასწავლებლები არც თვითონ ადგნენ და არც ხელმძღვანელობა მოითხოვს მათგან მეცნიერულ, პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის გეგმებს. პედაგოგთა ერთი ნაწილი რეგულარულად არ კითხულობს სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას და სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალებს. მათი მომზადების დონის ამაღლებისათვის არასაკმაო მუშაობას ეწევიან აგრეთვე სკოლების ხელმძღვანელები, განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი.

სკოლების საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებებში არ იხლავენ ახალ, სპეციალურ მეცნიერულ ლიტერატურას, საჟურნალო სტატიებს; არ ეწყობა ასეთი ლიტერატურის გამოფენები; საგნობრივი მეთოდური გაერთიანებების სამუშაო გეგმებში არ ითვლისწინებენ ლექციებისა და მოხსენებების მოსმენას აქტუალურ პრობლემებზე, დისპუტების ჩატარებას ცალკეულ სადისკუსიო საკითხებზე.

მეთოდურ გაერთიანებებში მასწავლებელთა მიერ წაკითხული მოხსენებები ვერ იმსახურებს მსმენელთა მოწონებას, ვერ ეხმარება მათ პრაქტიკულ მუშაობაში, ხშირ შემთხვევაში ისინი ჟურნალიდან თუ გაზეთიდან არის გადაწერილი და არ ასახავს მასწავლებლის მუშაობას, პრაქტიკოსების შეხედულებებს და არ შეიცავს საგნის სწავლების საინტერესო, პრობლემურ საკითხებს. ღორეშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა კ. კურტანიძემ მეთოდგაერთიანების გეგმაში შეტანილი თემა თვითნებურად შეცვალა სხვა თემით, მაგრამ ამის გამო სკოლის ხელმძღვანელობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისთვის შენიშვნა არ მიუცია. მეთოდურ გაერთიანებაში წარდგენილ
თემა გადმწერილი იყო ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებიდან —
„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. ანალოგიური შემთხვევას
ადგილი ჰქონდა მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანე-
ბაშიც.

ლაშის საშუალო სკოლაში ისტორიისა და დაწყებითი კლასების
მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებებს სასწავლო- აღმზრდე-
ლობითი პროცესის დაგეგმვაში დირექტორის მოადგილე ბ. ქა-
შაკიშვილი ხელმძღვანელობს და დასამუშავებელი 12 თემიდან 10-ს
თვითონვე ამზადებს.

მსგავსი მდგომარეობაა კიცხის საშუალო სკოლაშიც (დირექტო-
რი ფ. გელაშვილი, დირექტორის მოადგილე ა. ჩიკვაძე).

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშა-
ობის დაგეგმვისას საჭირო ყურადღება არ ექცევა სწავლების სხვადა-
სხვა მეთოდის გამოყენების სპეციფიკას ერთდროულად ოთხეულ კლა-
სთან მუშაობის პირობებში.

მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერ-
თიანებათა მუშაობაში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული,
ლაბორატორიული, გაზომვითი საკუთარების, ცდების, ექსკურსიებისა
სხვ. ჩატარების საკითხები.

კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანების სამუშაო
გეგმაში შეტანილი არ არის აღმზრდელობითი მუშაობის ახალი
ფორმების, მეთოდების გაცნობა და მოსწავლეთა თვითმოქმედების
განვითარების საკითხები.

ორჯონიკიძის რაიონში მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელ-
თა გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების მიზნით არ იყე-
ნებენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების საკმაოდ ნაცად
პრაქტიკას.

არასაკმაო ყურადღება ექცევა მოწინავე მასწავლებელთა მუშა-
ობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მეთოდური მუშაობისადმი ხელმძღვა-
ნელობაშიც; სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწა-
ვლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არადამაკმაყოფილებლად
ხელმძღვანელობენ მასწავლებელთა დამოუკიდებელ მეთოდურ მუშა-
ობას. ისინი არ ადევნებენ თვალყურს ამ დარგში მათი მუშაობის

ეფექტიანობას; ლაშის საშუალო სკოლის ბევრი მაწავლებელი ჩადგა ორჯონიკიძის საშუალო სკოლის მეთოდურ გაერთიანებაში მუშაობს, მაგრამ ლაშის სკოლის ხელმძღვანელობას იმის ცნობაც არა აქვს, თუ როდის იწვევა მათი შეკრებები.

სარაიონო მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებად უმთავრესად შერჩეულია რაიონის ცენტრიდან დაშორებული სკოლების მუშაკები, ნაცვლად ცენტრში მომუშავე მასწავლებლებისა. ასეთი საქმიანობა აძნელებს ხელმძღვანელთან კონტაქტს და ართულებს მეთოდგაერთიანების მუშაობას.

ლაშეს, ღორეშისა და კიცხის საშუალო სკოლებში არ არის შექმნილი მეთოდური კაბინეტები ან კუთხეები. სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ, საჭირო შემთხვევაში, არ უთითებენ მასწავლებელს, რა გზით აიმაღლოს კვალიფიკაცია, რა ლიტერატურა წაიკითხოს და სხვ.

განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი (გამგე ბ. ძაგნიძე) საკმაო დახმარებას ვერ უწევს სკოლის ხელმძღვანელთა მეთოდურ გაერთიანებებს სამუშაო გეგმების შედგენაში. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებითაც არის შეპირობებული ის გარემოება, რომ სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში არაიშვიათად გვხვდება ფორმალიზმი და სქემატიზმი.

არასაკმაო ღონისძიებანი ხორციელდება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისათვის. შესწავლილი სკოლებიდან ამ მხრივ ერთგვარი დადებითი მუშაობა ტარდება მხოლოდ კიცხის საშუალო სკოლაში.

ღორეშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. იჩქიტაძე) ფიზიკის კლას-ლაბორატორიისათვის გამოყოფილ ოთახში ერთი საშტეფსელო როზეტაც კი არა აქვთ, მასში მხოლოდ მერხები და დაფა დგას.

სკოლებში მეთოდური მუშაობის დაბალი დონე იმითაც არის შეპირობებული, რომ არასწორად არის შერჩეული ხელმძღვანელი კადრები. ლაშის, ღორეშისა და კიცხის საშუალო სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ჰუმანიტარული ციკლის საგნების სპეციალისტებია.

ნაკლოვანებები შეინიშნება თვით მეთოდური კაბინეტის მუშაობაშიც. კაბინეტის სამუშაო გეგმა არ არის სრულყოფილი, კონკრე-

ტული, ოპერატიული და ქმედითი. იგი ცალკე არ არის გამოყოფილი განათლების საბჭოს სამუშაო გეგმიდან.

მეთოდურ კაბინეტს არა აქვს მოწინავე გამოცდილების, პედაგოგიური კითხვის, პედაგოგიური კონფერენციების, პედაგოგიური გამოფენების, ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის შედეგების ამსახველი მასალები.

მეთოდურ კაბინეტთან დღემდე არ არის შექმნილი მეთოდური საბჭო.

მეთოდურ კაბინეტში არ არის საკონსულტაციო ცხრილები და კონსულტაციების აღრიცხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი განათლების განყოფილების, მისი მეთოდური კაბინეტისა და სკოლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, მიიღოს მისთვის შესაძლო ზომები სკოლებში სასწავლო პროცესის თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერისად ამაღლებისათვის. ამისათვის თანმიმდევრულად შეისწავლოს სკოლების მუშაობა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხრელად;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვას, მიიღოს სათანადო ზომები იმ სკოლების ხელმძღვანელებისა და ცალკეული მუშაკების მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სკოლის სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის საქმეს;

გ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსფხვრელად. სკოლის წლიური სამუშაო გეგმა გახადოს უფრო სრულყოფილი, კონკრეტული, ოპერატიული. მიაღწიოს იმას, რომ სკოლის წლიური სამუშაო გეგმის შედგენასა და შესრულებაში მონაწილეობდეს სკოლის მთელი კოლექტივი, რომ სასწავლო წლის მანძილზე განიხილებოდეს ყველა სასწავლო საგნის სწავლების მდგომარეობა; ამ მიზნით, გააძლიეროს დახმარება და შინასასკოლო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) არსებითად გააუმჯობესოს რაიონის სკოლების ხელმძღვანელობა და პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა. მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად იყოს საბუნებისმეტყველო ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი, ყველა ხასწავლო საგანს კი სპეციალისტი ასწავლიდეს;

ე) მკვეთრად აამაღლოს განათლების განყოფილების მეთოდური-კაბინეტის მუშაობა; უკეთესად მოაწყოს რაიონის მასწავლებელთა, აღმზრდელთა და განათლების სხვა მუშაკთა მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია; მეთოდური კაბინეტის სამუშაო გეგმის დამტკიცების დროს იხელმძღვანელოს მისი დებულებითა და ამ გზით უფრო მრავალფეროვანი გახადოს კაბინეტის მუშაობა. მიიღოს ქმედითი ზომები სასკოლო მეთოდური კაბინეტების ან მეთოდური კუთხეების შესაქმნელად;

ვ) გაატაროს ღონისძიებანი მეთოდური კაბინეტის მიერ რაიონის სკოლების მუშაკთა მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის; ამ საკითხის შესასწავლად გამოიყენოს მეთოდგაერთიანებანი, სკოლების ხელმძღვანელები, სახალხო განათლების გამოცდილი მუშაკები, ხოლო განზოგადებისათვის-მეთოდგაერთიანებები, სემინარ-პრაქტიკუმები, სასკოლო მეთოდური კაბინეტები (ან კუთხეები), პედაგოგიური კითხვა და კონფერენცია, პედაგოგიური გამოფენა, ადგილობრივი პრესა და რადიო;

ზ) აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს რაიონის მეთოდურ კაბინეტს სკოლებში პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის მდგომარეობის შესწავლაში და მიიღოს ზომები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დონის ასამაღლებლად;

თ) დაუყოვნებლივ შექმნას მეთოდურ კაბინეტთან მეთოდური საბჭო, რომელმაც განიხილოს მის სხდომებზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, ხოლო ზოგი მათგანი განსახილველად შეიტანოს სახალხო განათლების საბჭოში; დაავალოს მეთოდურ საბჭოს, შეიმუშაოს წინადადებანი სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკაში პედაგოგიური პროცესის სრულყოფისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის;

ი) მიიღოს ზომები აუცილებელი პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით მეთოდური კაბინეტისა და სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებისა და მათი მუშაობის გასაუმჯობე-

ს ე ბ ლ ა დ. ა ა მ ა ღ ლ ო ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი ს რ ო ლ ი ც ა ლ კ ე უ ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი ს
სწავლების გაუმჯობესების საქმეში;

კ) გააძლიეროს დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა თვითგანთლებაზე, როგორც მეთოდური მუშაობის ძირითად ფორმაზე; ხელი შეუწყოს მათ თემებისა და საჭირო ლიტერატურის შერჩევაში; მეთოდგაერთიანებებში წასაკითხი თემები შეარჩიოს წამკითხველთა სურვილისა და თვითგანათლების გეგმების გათვალისწინებით, არ დაუშვას მოხსენების წაკითხვა მეთოდური გაერთიანების სხდომაზე წინასწარი განხილვის გარეშე;

ლ) უზრუნველყოს რაიონის მეთოდურ კაბინეტში მასწავლებელთათვის საკონსულტაციო ცხრილის შედგენა, მისი დაყვანა სკოლებამდე და კონსულტაციების მაღალ დონეზე ჩატარება, აგრეთვე დირექტორთა მეთოდური გაერთიანების სხდომებზე სკოლის წლიურ გეგმებზე მუშაობის, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის პერსპექტიული გეგმის შედგენასა და გაკვეთილების ანალიზის საკითხებზე მოხსენებების მოსმენა;

გ) ეს ბრძანება, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით, განიხილოს განათლების განყოფილების სახალხო განათლებისა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

2. ორჯონიკიძის რაიონის სკოლების დირექტორებმა ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის დონის ასამაღლებლად ამ მიზნით, მკვეთრად გაუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათი გაკვეთილების ანალიზს (სწავლების ლოგიკა, ბეჯითობა, პრობლემები სწავლებაში, მოსწავლეთა აქტიური მუშაობა, წახლისება, დაინტერესება, მომთხოვნელობა და სხვ.). ფართო ადგილი დაუთმონ მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული ცოდნის დონის ამაღლებას.

3. ორჯონიკიძის რაიონის სკოლების მასწავლებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, არ დაუშვან არც ერთი გაკვეთილის მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევა, გულმოდგინედ იმუშაონ საკუთარი მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური ცოდნის დონის ასამაღლებლად, ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება და სწავლების თანამედროვე აქტიური მეთოდები და ხერხები.

4. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლების გამო ი. გაჩეჩილაძეს (ფიზიკა, ღორეშის საშუალო სკოლა), თ. დევდარიანს (ქართული ენა და ლიტერატურა, გედსამანიის რვაწლიანი სკოლა), მ. ხაჩატიშვილს (გეოგრაფია, ლაშის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

5. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო ლაშის საშუალო სკოლის დირექტორს პ. კვინიკაძეს გამოეცხადოს საყვედური.

6. ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ შეისწავლოს ღორეშის საშუალო სკოლის მუშაობის საკითხი და სასწავლო წლის ბოლოსათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს დასკვნა შემდგომში დირექტორის თანამდებობაზე პ. იჩქიტიძის დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

7. აღინიშნოს მეთოდური მუშაობისადმი ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგის ბ. ძაგნიძის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

8. ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ 1975 წლის 10 ივნისისათვის მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განხორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 23 იანვარის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 24 თებერვლის ბრძანება № 132

ქუთაისის (გუმათის) დახმარე სკოლა-ინტერნატში სასწავლო-საალეზრდელო ნუშაობისა და აღსაზრდელთა საერედიკინო მომსახურების შემოწმების შესახებ

სკოლა-ინტერნატ"ისა და "საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ქუთაისის (გუმათის, დახმარე სკოლა-ინტერნატის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული მუშაობაში. შენობებში სისუფთავე და წესრიგია. აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან პირადი ჰიგიენის საგნებით. გამოყოფილია შესაფერისად მოწყობილი ჰიგიენის ოთახი გოგონე"ისათვის. აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა დამაკმაყოფილებელია. მათი უმრავლესობა გარეგნულადაც კარგად გამოიყურება, აცვიათ სუფთა და მორგებული ტანსაცმელი. დამაკმაყოფილებელია თეთრეულის რეც"ის ხარისხი.

შესრულებულია კონტინგენტის გეგმა. გათბობის სისტემა და წყალსადენი წესრიგშია, სკოლა-ინტერნატის ეზო შემოღობილია და გამწვანებული. მოწყო"ილია სპორტული და სათამაშო მოედნები.

ძირითადად სწორად არის შედგენილი აღსაზრდელთა დღის რეჟიმი; საჭირო ყურადღება ეთმობა თემატური დილა-საღ მოების, მოძრავი თამაშობების, ექსკურსიების ჩატარებას, დამაკმაყოფილებლად მუშაობს მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი მ. კახიძე).

საშინაო დავალე"ებზე მუშაობის დროს აღმზრდელთა უმრავლესობა ბავშვებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს ნერგავს. ამ მხრივ განსაკუთრე"ით გამოიჩევიან საალმზრდელო ჯგუფე"ის აღმზრდელ ე"ი ნ. სარიშვილი და ა. მეგრელიშვილი.

დამაკმაყოფილებლად ხორციელდება მეთოდური მუშაობა აღმზრდელებთა (დირექტორის მოადგილე საალმზრდელო მუშაობის დარგში მ. ფხაკაძე).

კარგად არის შერჩეული აღმზრდელთა მეთოდგაერთიანების თემატიკა (მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელ დირექტორის მოადგილე საალმზრდელო მუშაობის დარგში ბ. ფხაკაძე). წაკითხული მოხსენებები თავისი შინაარსით დამაკმაყოფილებელია.

ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლა-ინტერნატის ზოგიერთ კლასებში დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა (მასწავლებლები ბზიკაძე, ტურაბელიძე, ცირეკიძე, ლებანიძე), ისტორია და გეოგრაფია (მასწ. ს. გიორხელიძე), მათემატიკა (მასწ. ლ. ჩიტაიშვილი, ლ. ჯაიანი, თ. მანაგაძე, დ. ტეილდიანი).

მაგრამ, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ქუთაისის (გუნათის, დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო-საალმზდელო მუშაობასა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

საძინებელ ოთახებში სივიწროვეა, არ ყოფნით დგამ-ავეჯი, ზოგან საწოლები მიჯრით დგას. კვების ბლოკში, შემოწმების პერიოდში, ჭურჭლის რეცხვის ხარისხი არადამაკმაყოფილებელი იყო. დარღვეულია აგრეთვე პროდუქტების დასამუშავებელი ფიცრების შენახვის წესი. მედპერსონალი არასწორად ახდენს კერძების ვიტამინიზაციას, ამასთან, კვება ერთფეროვანია. არ ხდება კალორაჟის გამოთვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ სავაჭრო ორგანოების მიერ სკოლა-ინტერნატი არარიტმულად მარაგდება ზოგიერთი პროდუქტით, 1974 წლის III კვარტალში სკოლა-ინტერნატს არ მიუღია არც ერთი ცალი კვერცხი, დიდი რაოდენობით დააკლეს ახალი რძე, ბოსტნეული, მაკარონი და სხვა.

სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში (ექიმი ვ. ფრუიძე). ღრმა სამედიცინო შემოწმების შედეგები შეტანილი არ არის ფორმა № 26-ში. გამოვლენილ სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებზე არ არის გახსნილი ფორმა № 30 და ისინი არც დამატებით კვებაზე არიან აყვანილნი. სამედიცინო დოკუმენტაცია არასწორადაა ნაწარმოები, არ ტარდება პროფილაქტიკური აცრები.

ნაკლოვანებებია აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა-აღრიცხვის საქმეში. მეთოდური სამუშაო გეგმების ნაცვლად დგება ნახევარწლიური. ამიტომ აღმზრდელთა როგორც მეთოდური, ისე ყოველდღიური გეგმები ზოგადია. სუსტად ხორციელდება პროფორიენტაციული მუშაობა. სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წიგნის პროპაგანდის საქმე, რის გამო მოსწავლეები იშვიათად სარგებლობენ სასკოლო ბიბლიოთეკით.

არსებითი სახის ნაკლოვანებებით ხასიათდება სასწავლო მუშაობა (დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში-პ. კიკაჩეიშვილი); არასწორად არის შედგენილი პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა-მიღებული ღონისძიებებიც ზოგადია. საჭირო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას; საკლასო ჟურნალები ნაწარმოებია დაუდევრად (განსაკუთრებით IV-IX კლასებში). დამუშავებული მასალა არ არის შეტანილი VI, VII, VIII² კლასების ჟურნალებში (კლასის ხელმძღვანელები: ცირეკიძე მიქაუტაძე, რ. ჭუმბურიძე).

ადგილი აქვს ლიბერალური შეფასების შემთხვევებს- VI (კლ. ხელმძღვანელი ჭუმბურიძე), VI¹ (კლ. ხელმძღვანელი ცირეკიძე) და V (კლ. ხელმძღვანელი ციცქიშვილი) კლასებში. V² კლასში (4 IX-დან 13-ის ჩათვლით) საკლასო ჟურნალში არც ერთი ნიშანი არ შეუტანიათ. მასწავლებლები იშვიათად ასწორებენ საკლასო- საშინაო რვეულებს. საკლასო ჟურნალებში შეტანილი არ არის აგრეთვე საკონტროლო წერის ნიშნები. ხშირია არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები. 1 სექტემბრიდან შემოწმების დღისათვის არასაპატიო მიზეზით გაცდენილი იყო 1488 საათი.

ცალკეული საგნების სწავლებასა და სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებაში გამოვლინებული ნაკლოვანებები, პირველყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორი და განსაკუთრებით მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ამხ. პ. კიკაჩეიშვილი ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობასა და პრინციპულობას, საფუძვლიანად არ იცნობენ სასწავლო პროგრამებს. დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ამხ. პ. კიკაჩეიშვილს 3 თვის მანძილზე მოსმენილი აქვს მხოლოდ 17 გაკვეთილი. მოსმენილი გაკვეთილების

ანალიზიც არასრულყოფილია. VI-VIII კლ. მათემატიკის მასწავლებლები მუშაობენ ძველი პროგრამებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის (გუმათის) დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. რ. მოწინელიძე):

ა) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშაკთა ყოველდღიურ მუშაობაზე; ღრმად ჩაწვდეს სასწავლო პროცესს და საჭიროა რეგირება მოახდინოს არსებულ ნაკლოვანებებზე, უზრუნველყოს მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადება;

ბ) იზრუნოს აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სკოლა-ინტერნატების კვების პროდუქტებით დროულად მომარაგების საქმეს;

გ) უზრუნველყოს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სათანადო დონეზე დაყენება, სისტემატურად გაუწიოს კონტროლი მედპერსონალის მუშაობას;

დ) უმოკლეს ხანში დადოს ხელშეკრულება რომელიმე უახლოეს საწარმო-დაწესებულებასა ან კოლმეურნეობასთან, სადაც IX კლასის მოსწავლეები შერჩეული პროფესიის მიხედვით შეძლებენ ხანგრძლივი საწარმოო პრაქტიკის გავლას. ამასთან, არ დაუშვას აღნიშნულ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის არც ერთი შემთხვევა სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის გარეშე.

2. ქუთაისის (გუმათის) დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. რ. მოწინელიძეს მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრებისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მიეთითოს.

3. დირექტორის მოადგილს სასწავლო მუშაობის დარგში ამხ. პ. კიკაჩეიშვილს სასწავლო მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. სკოლა-ინტერნატის ექიმს ამხ. ვ. ფრუიძეს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მიეთითოს.

5. ქალაქ ქუთაისის განათლების განყოფილებამ აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილოს გუმათის სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს განიხილოს სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორი სმოადგილის ამხ. პ. კაკაჩეიშვილის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საკითხი.

6. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) მიიღოს ზომები გუმათის სკოლა-ინტერნატის სასწავლო სახელოსნოების საჭირო ინვენტარითა და სამუშაო მასალებით უზრუნველსაყოფად.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 23 იანვრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 24 თებერვლის ბრძანება № 133

ბოლნისის რაიონის სოფელ მუსოპრიანის რვაწლიან სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს კპ ბოლნისის რაიონული კომიტეტისა და ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენელთა მიერ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციიდან მიღებულ მამხილებელ წერილში აღნიშნული საკითხის შემოწმებით დადგინდა, რომ ბოლნისის რაიონის სოფელ მუსოპრიანის რვაწლიან სკოლაში რამდენიმე მოსწავლეს 13 და 16 კაპიკად ღირებული VI და VII კლასების გერმანული ენის სახელმძღვანელოებში გადაახდეინეს თითო მანეთი.

ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ჰ. გურგენიძე არ დაელოდა შემოწმების შედეგებს და საკითხის შესწავლის პერიოდში (მიმდ. წლის 17 იანვარს) სკოლის დირექტორი გ. ისმაილოვი პირადი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

ბოლნისის რაიონის სოფელ მუსოპრიანის რვაწლიან სკოლაში მომხდარი ფაქტის გამო;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბოლნისის რაიონის სოფელ მუსოპრიანის რვაწლიან სკოლაში სასკოლო სახელმძღვანელოების ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის სკოლის დირექტორი გაჯი ისმაილოვი მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან.

2. ბოლნისის რაიონის გათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს, ჰ. გურგენიძეს გამოეცხადოს საყვედური საგანგებო თხის შესწავლის დამთავრებამდე სოფელ მუსოპრიანის რვაწლიანი სკოლის დირექტორის, გ. ისმაილოვის პირადი განცხადების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 6 თებერვლის დადგენილება.

მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 14 მარტის ბრძანება № 198

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში, ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, გარკვეული მუშაობა ტარდება.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების დახმარებითა და ხელშეწყობით გაიზარდა იმ სკოლების რაოდენობა, რომელთაც კარგად მოწყობილი ქიმიის კაბინეტები აქვთ, უფრო სრულყოფილად ხდება თვალსაჩინოების დანერგვა სწავლებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის 33-ე,44-ე, წითელწყაროს 1-ლი, გორის რაიონის ტყვიავის ხობის რაიონის პირველი მაისის, ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის, ვანის რაიონის შუამთისა და ზოგიერთი სხვა სკოლა.

ქიმიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, იბრძვის სწავლებაში აქტიურობის პრინციპის დასანერგავად, მოსწავლეთა თეორიულ მომზადებას საფუძვლიანად უხამებს მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვითარებას, უნარიანად უძღვება კლასგარეშე მუშაობას, რითაც აღწევს მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია მასწავლებელ გ. ეფიმოვას (თბილისის 33-ე საშუალო სკოლა), ე. მურთაზაშვილის და ნ. გესლაიძის (ახმეტის რაიონის მაღრანისა და ქვემო ალვანის საშუალო სკოლები), გ. ჯანჯღავას (ხობის რაიონის ბიის საშუალო სკოლა), ნ. ტარუაშვილის (სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლა), ვ. ბესპალოვას (ქ. გორის მე-12 საშუალო სკოლა), ნ. სკვორცოვას (თბილისის 139-ე საშუალო სკოლა), ლ. წილოსანის (ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლა) და სხვ. დამაკმაყოფილებელი მუშაობა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგ ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლაში ქიმიის სწავლება დაბალ დონეზე დგას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცუდად მუშაობს, სათანადოდ ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, სისტემატურად არ იმაღლებს კვალიფიკაციას, გაკვეთილებს ატარებს დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, მოსწავლეებს ვერ აძლევს საჭირო ცოდნის მინიმუმს, იჩენს ლიბერალიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. სუსტად მუშაობენ მასწავლებლები: მ. ერისთავი (ვანის რაიონის სულორის საშუალო სკოლა), ხ. მამედოვი და ქერიმოვი (დმანისის აზერბაიჯანული და დმანისის რაიონის დალარის საშუალო სკოლები), ი. იარლანაშვილი (ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის საშუალო სკოლა), თ. კობახიძე (ზესტაფონის რაიონის სადგურ სვირის საშ. სკოლა), რ. კვასხვაძე (ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლა). ასევე ცუდად მუშაობენ ო. ჩხარტიშვილი (ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლა), ნ. ყუფარაძე (ხობის რაიონის თორსის საშუალო სკოლა), ს. გალოგრე (ლანჩხუთის რაიონის ჩიპათის საშ. სკოლა), დ. ჭელიძე (ხობის რაიონის ქვალონის საშ. სკოლა), შ. ივანიშვილი (სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშუალო სკოლა), ა. არუთინიანი (თბილისის 94-ე საშუალო სკოლა), ე. მარგოშვილი (ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლა), უ. ხურციძე (ვანის რაიონის უხუთის საშუალო სკოლა), ე. შარიფოვი (დმანისის რაიონის ყარაბულახის საშუალო სკოლა), ი. ვარდუკაძე და შ. ჭულუხაძე (ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლა).

სკოლებში შესწავლილი არ არის საჭირო პირობები ქიმიური ექსპერიმენტის სწავლებაში სრულყოფილად დანერგვისათვის. მთელ რიგ სკოლებში საერთოდ არ არის ქიმიის კაბინეტი და არც ზრუნავენ მის მოწყობაზე, რესპუბლიკაში 253 საშუალო და 637 რვაწლიან სკოლას არ გააჩნია ქიმიის კაბინეტი.

ბევრგან ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ კაბინეტების შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენებისადმი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ლენტეხის, ზესტაფონის, დმანისის, ვანის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში. ქიმიის კაბინეტები არ აქვთ ლენტეხის, რცხმელურის, ჩოლურისა და ჟახუნდრის (დირექტორები პ. ხვისტანი, ი. გაზდელიანი, ნ. ბალუანი, ჯ. ონიანი), ხობის რაიონის თორსის (დირექტორი ნ. კუკავა), ვანის რაიონის უხუთის (დირექტორი ა. ხურციძე), დ. ვანის ტაბიძის სახელობის (დირექტორი

თ. ლასხიშვილი), თბილისის 94-ე (დირექტორი გ. მხითარიანი) და სხვა საშუალო სკოლებს.

ზოგ სკოლაში ქიმიის კაბინეტისათვის გამოყოფილია შესაფერისი სათავსოები, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით აქვთ თვალსაჩინოება, ამწოვი კარადები უმოქმედოდ დგას, არ არის დაცული უსაფრთხოების წესები, მოსწავლეთა დაზიანების შემთხვევისათვის არ აქვთ პირველი დახმარების საშუალებები. მოსწავლეები არ იცნობენ კაბინეტში მუშაობის წესებს. ქიმიურ ჭურჭელში რეაქტივები და ხელსაწყოები მოუვლელია. სისტემატურად არ ხდება კაბინეტების შევსება თვალსაჩინოებით, ნაკლებად ხდება არსებული თვალსაჩინოების სწავლებაში გამოყენება. შეუწყნარებელ მდგომარეობაშია ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი (სკოლის დირექტორი თ. წიქაძე, დირექტორის მოადგილე და ქიმიის მასწავლებელი ი. ვარდუკაძე, კაბინეტის გამგე შ. ჭულუხაძე). რეაქტივები, -ჭურჭელი და ხელსაწყოები მოუვლელობისა და გამოუყენებლობის გამო უვარგისად ქცეულა, რეაქტივების შესანახ კარადებს არა აქვს მინები და არ იკეტება, გამოუყენებელია და ფუჭდება ნაბეჭდი თვალსაჩინოება. ეს მით უფრო მოუთმენელია, რომ ამ სკოლაში ქიმიას ასწავლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ი. ვარდუკაძე, რომელიც სათანადო კონტროლს უნდა ახორციელებდეს საგნის სწავლებაზე. მსგავსი მდგომარეობაა სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ჭაბაშვილი, მასწავლებელი მ. ივანიშვილი). კაბინეტის თვალსაჩინოებით შევსებასა და სწავლებაში გამოყენების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ახმეტის რაიონის ქისტაურის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ალბორიშვილი, კაბინეტის გამგე ლ. ყარალაშვილი), ვანის რაიონის სულორის (დირექტორი შ. დვალიშვილი, კაბინეტის გამგე მ. ერისთავი), ხობის რაიონის ქვალონის (დირექტორი ა. ცხადაია, კაბინეტის გამგე დ. ჭელიძე), დმანისის აზერბაიჯანულ (დირექტორი შ. კარალოვი, კაბინეტის გამგე ხ. მამედოვი), ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის, მამათისა და სუფსის (დირექტორები ა. ჩომაძე, გ. ჩხაიძე, ა. გარდაფხაძე, კაბინეტის გამგეები ს. გალოგრე, ე. ფრანგიშვილი, ო. ჩხარტიშვილი) სკოლებში.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობას. სრულად არ არის გამოყენებული წრეობრივი მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები. ცუდად არის შედგენილი ნორჩ ქიმიკოსთა წრეების სამუშაო გეგმები. მათში გათვალისწინებული არ

არის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას გამოიწვევს და დაეხმარება მათ ცოდნის ამაღლებაში. ნაკლებად არიან ჩაბმული მოსწავლეები ისეთ მუშაობაში, როგორიცაა თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება, მარტივ, რთულ ნივთიერებათა და მინერალების კოლექციების შედგენა, ადგილობრივი ქიმიური საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა, პრეპარატორული მუშაობა, ქიმიური დილა-საღამოების მოწყობა და სხვ. ცუდად არის დაყენებული კლასგარეშე მუშაობა დმანისის რაიონის სკოლებში, ლანჩხუთის მე-3, ლანჩხუთის რაიონის სუფსის, ჩიბათის, ვანის რაიონის სულორისა და უხუთის, ახმეტის რაიონის ქისტაურის, ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირისა და მთელ რიგ სხვა სკოლებში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ქიმიის სწავლებით დაინტერესებული ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლინებას, ნაკლებად ტარდება მათთან დამატებითი მუშაობა რთული თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნის მიზნით. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადაზე მონაწილეობას ღებულობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთაც საგანში მაღალი ნიშნები უწერიათ, მაგრამ ავლენენ მეტად დაბალ მომზადებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიიადის დასკვნით ტურში მონაწილე 426 მოსმოსწავლიდან 204-მა ე. ი. ნახევარმა ერთი და ნული ქულა მიიღო, სუსტად გამოდიან ჩვენი წარგზავნილები საკავშირო ოლიმპიადებში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა რვაწლიან და სამეალო სკოლას განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი კონტროლი და დახმარება ქიმიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად და ღრმად შეისწავლონ სკოლებში საგნის სწავლების მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხ-

ვრელად, გაზარდონ ქიმიის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა გაკვეთილების თეორიული, იდეური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სათანადო ფართობის სათავსოების გამოყოფა ქიმიის კაბინეტისათვის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში და ყურადღება მიაქცინ მათ მოწყობას, თვალს ჩინოებით აღჭურვასა და სწავლებაში მაქსიმალურად გამოყენებას. რაიონის (ქალაქის) ქიმიის მასწავლებელთა სექციური მუშაობის ჩატარებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების უკეთ გავრცელების მიზნით, სინიმუშოდ მოაწყონ ქიმიის კაბინეტი რომელიმე სკოლაში და გადააქციონ იგი ყველა სახის ქიმიური ექსპერიმენტის საჩვენებელ ბაზად;

გ) ახალ, 1975—1976 სასწავლო წლის დაწყებამდე ზუსტად აღწერონ ქიმიის კაბინეტების სასწავლო-მატერიალური ბაზა, არსებული ქიმიური რეაქტივები, ჭურჭლები, ხელსაწყოები, ნაბეჭდი თვალსაჩინოება, სხვა მასალები შეადარონ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხას“ და ჭარბი თვალსაჩინოება გადაუნაწილონ სხვა სკოლებს;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ რაიონის (ქალაქის) მეთოდკაბინეტის ქიმიის მასწავლებელთა სექციის მუშაობის გასაუმჯობესებლად, სექციის ხელმძღვანელად შეარჩიონ მცოდნე და გამოცდილი ამხანაგი, დააკისრონ მას პასუხისმგებლობა სკოლაში ქიმიის სწავლებაზე;

ე) დაანუსტონ ქიმიის იმ მასწავლებელთა სია, რომელთაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ გაუვლიათ მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და უზრუნველყონ კურსებზე მათი გაგზავნა. სისტემატური კონტროლი გაუწიონ ქიმიის მასწავლებელთა მუშაობას თვითგანათლების პროგრამაზე, გაზარდონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლის საქმეში;

ვ) ქიმიის კაბინეტების ლაბორანტებად შეარჩიონ და დანიშნონ კვალიფიციური და ენერგიული მუშაკები, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა კაბინეტების მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობაზე, უზრუნველყონ დახელოვნების კურსებზე მათი მივლინება;

ზ) სასწავლო წლის ბოლომდე საფუძვლიანად შეისწავლონ ამ ბრძანებაში და წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში დასახელებული ცუდად მომუშავე მასწავლებლების მუშაობა და ისინი, ვინც ვერ გარდაქმნა თავისი მუშობა და კვლავ დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან, ჩამოაქვეითონ ან შეუმცირონ დატვირთვა. არ დაუშვან არასპეცია-

ლისტების დანიშვნა ქიმიის მასწავლებლებად, ხოლო ამჟამად მომუშავე არასპეციალისტები გაათავისუფლონ.

3. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქიმიის კაბინეტების მოწყობას, თვალსაჩინოებით შევსებასა და სწავლებაში გამოყენებას. მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხით“.

ბ) გაკვეთილებზე სისტემატური დასწრების, მოსწავლეთა საშინაო დავალებებისა და პრაქტიკული სამუშაოების რვეულების შემოწმებისა და მოსწავლეთა ცოდნის საფუძველზე დაადგინონ, რამდენად სისტემატური ხასიათი აქვს მასწავლებლის მიერ თვალსაჩინოების გამოყენებას, ამოცანების ამოხსნას, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, რამდენად საფუძვლიანად ემზადება მასწავლებელი გაკვეთილისათვის და როგორია მისი მეცნიერული და მეთოდური დონე, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში საკითხი განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

გ) გააძლიერონ კონტროლი ქიმიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობაზე, გულდასმით გასინჯონ მათი სამუშაო გეგმები და მიაღწიონ გეგმიური საკითხების მაღალხარისხიანად შესრულებას. სისტემატური ხასიათი მისცენ თვითგანათლების პროგრამით მასწავლებელთა მუშაობის შემოწმებას, სათანადო დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს ამ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლაში, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოისმინონ მათი ანგარიში.

4. ქიმიის მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ ქიმიის კაბინეტები, შეავსონ იგი სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდების, პრაქტიკული სამუშაოების, კლასგარეშე მუშაობისათვის საჭირო რეაქტივებით, ჭურჭლებით, ხელსაწყოებით, ნაბეჭდი თვალსაჩინო მასალებით, დიაპოზიტივებითა და დიაფილმებით იმ რაოდენობითა და ასორტიმენტით, რაც განსაზღვრულია სათანადო ნუსხით, ზუსტად დაიცვან რეაქტივების შენახვის უსაფრთხოების წესები, მოაწყონ კაბინეტებში აფთიაქები პირველი დახმარების საშუალებებით, შეასწავლონ მოსწავლეებს ქიმიის კაბინეტში მუშაობის წესები და გამოაკრან იგი თვალსაჩინო ადგილზე;

ბ) მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში კაბინეტის მატერიალური ბაზა, ჩაატარონ პროგრამით გათვალისწინებული ყველა საფეხურის მონსტრაციო და ლაბორატორიული ცდა, პრაქტიკული სამუშაო. საგნის თეორიული სწავლება მჭიდროდ და მოხერხებულად დაუკავშირონ პრაქტიკას, ცხოვრებისეულ მოთხოვნებს, გააძლიერონ პროფორიენტაციული მუშაობა მოსწავლეთა შორის, ამ მიზნით პროგრამული საკითხების შესწავლას მჭიდროდ დაუკავშირონ ადგილობრივი ქიმიური და მისი მონათესავე საწარმოების გაცნობა, სისტემატური ხასიათი მისცენ სასწავლო ექსკურსიებს, გამოიყენონ იგი კაბინეტის სხვადასხვა კოლექციებით შესავსებად;

გ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას გაითვალისწინონ მათი დამოუკიდებელი მსჯელობის, ფაქტების განზოგადების, თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი, მაქსიმალურად გამოიყენონ საკონტროლო წერები მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, არ დაუშვან ლიბერალიზმი მუშაობაში;

დ) გარდაქმნან კლასგარეშე მუშაობა სკოლაში. მიზანდასახული მიმართულება მისცენ ნორჩ ქიმიკოსთა მუშაობას. მოფიქრებულად, გულდასმით შეადგინონ წრის სამუშაო გეგმა და იზრუნონ მის შესასრულებლად, გეგმებში უპირატესად გაითვალისწინონ პრაქტიკული ხასიათის საკითხები, ისეთები, რომლებიც მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას გამოიწვევს და სარგებლობას მოუტანს მათ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა პრეპარატორულ და საკოლექციო მუშაობას, ფართოდ ჩააბან წრის წევრები ქიმიის კაბინეტის გაფორმებისა და თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების საქმეში;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ საგნით დაინტერესებულ, ნიჭიერ მოსწავლეებთან მუშაობას, ავარჯიშონ ისინი რთული გაანგარიშებითი და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, გულდასმით მოამზადონ და ჩაატარონ ნორჩ ქიმიკოსთა სასკოლო ოლიმპიადები, არ დაუშვან სუსტი და მოუმზადებელი მოსწავლეების გაგზავნა ოლიმპიადების შემდეგ ეტაპებზე;

ვ) იზრუნონ საკუთარი თეორიული ცოდნის გამდიდრებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის, შეასრულონ ქიმიის მასწავლებელთა თვითგანათლების პროგრამის მოთხოვნები, სისტემატურად გაეცნონ არსებულ მეთოდურ ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სტატიებს. მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა არსებული

შესაძლებლობა გაკვეთილების მაღალი იდეურობისა და ეფექტურობის მისაღწევად.

5. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენების, მასწავლეთა დაბალი მომზადების, სწავლებაში ქიმიური ექსპერიმენტის უკულებელყოფის, კლასგარეშე მუშაობის ჩაშლის გამო, მასწავლებლებს: ი. ვარდუკაძეს, (ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირის საშუალო სკოლა), ი. არდანაშვილს (ზესტაფონის რაიონის ზემო საქარა საშუალო სკოლა), თ. კობახიძეს (ზესტაფონის რაიონის სადგურ სვირის საშუალო სკოლა), ი. მამედოვს, ა. ქერიმოვს (დმანისის აზერბაიჯანული და სოფელ დალარის საშუალო სკოლები), მ. ერისთავს (ვანის რაიონის სულორის საშუალო სკოლა), რ. კვასხაძეს (ლანჩხუთის მე-3 საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

6. საგნის სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამო მასწავლებლებს: მ. ივანიშვილს (სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშ. სკოლა), ნ. ყუფარაძეს (ხობის რაიონის თორსის საშ. სკოლა), ს. გალოგოევს (ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშ. სკოლა), დ. ჭელიძეს (ხობის რაიონის ქვალონის საშ. სკოლა), ა. არუთინიანს (თბილისის 94-ე საშ. სკოლა), ე. მარგოშვილს (ახმეტის რაიონის დუისის საშ. სკოლა), ჟ. ხურციძეს (ვანის რაიონის უხუთის საშ. სკოლა), ე. შარიფოვს (დმანისის რაიონის ყარაბულახის საშ. სკოლა), ო. ჩხარტიშვილს ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

7. იმის გამო, რომ ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ი. ვარდუკაძე დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, არ იყენებს სწავლებაში ქიმიის კაბინეტს და სათანადო კონტროლს ვერ უწევს სკოლაში ქიმიის სწავლებას, განათლების განყოფილებამ შეისწავლოს დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვების საკითხი და შედეგი აცნობოს განათლების სამინისტროს.

8. სკოლის დირექტორებს: ნ. კუკავას (ხობის რაიონის თორსის საშ. სკოლა), ა. ხურციძეს (ვანის რაიონის უხუთის საშ. სკოლა), თ. ლასხიშვილს (ვანის ტაბიძის სახ. საშ. სკოლა), ო. წაქაძეს (ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირის საშ. სკოლა). მ. დვალიშვილს (ვანის რაიონის სულორის საშ. სკოლა), შ. კარალოვს (დმანისის აზერბაიჯანული საშ. სკოლა), ა. ჩომაძეს, გ. ჩხაიძეს, ა. გარდაფხაძეს (ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის, მამათისა და სუფსის საშ. სკოლები), გ. ჭაბაშვილს (სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშ. სკოლა), თ. ტაგიზადეს

(დმანისის რაიონის დალარის საშ. სკოლა), რომლებმაც ვერ უზრუნ-
ველყვეს სათანადო მომთხოვნელობა ქიმიის მასწავლებლების შესახებ,
მიეთითოთ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვი-
ლის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ.
საყვარელიძემ), მოამზადოს მეცნიერულად და მეთოდურად დასაბუთე-
ბული რეკომენდაციები ქიმიის პროგრამების ცალკეული რთული
საკითხების სწავლებაზე და გამოაქვეყნოს ჟურნალ „ქიმია-ბიოლოგია
სკოლაში" და გაზეთ „სახალხო განათლებაში".

10. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების
ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა):

ა) აამაღლოს ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების
როლი მასწავლებელთა გადამზადების საქმეში, კურსებზე განსაკუთ-
რებული ყურადღება მიაქციოს ქიმიური ექსპერიმენტების ჩატარებაში
მასწავლებელთა დახელოვნებას, საფუძვლიანად აათვისებინოს მათ
ხელსაწყოების გამოყენება, გაზარდოს თეორიული კურსის საკითხი;

ბ) კურსებზე ლექტორებად მოიწვიოს კვალიფიციური და გამოც-
დილი სპეციალისტები.

11. ჟურნალმა „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში" (ამხ. ნ. ფირცხალავამ)
და გაზეთმა „სახალხო განათლებამ„ (ამხ. ნ. შველიძემ) გაზარდონ გა-
მოქვეყნებული სტატიების მეცნიერული და მეთოდური დონე, არ დაუშ-
ვან ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომლებიც სათანადო დახმარებას
ვერ გაუწევენ მასწავლებლებს. მიიზიდონ და ფართოდ ჩააბან მუშაო-
ბაში მეცნიერები და მოწინავე მასწავლებლები.

12. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ.
გ. კბილაშვილმა) უზრუნველყოს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების
საბაზო მაღაზიაში ქიმიური ჭურჭლის, რეაქტივებისა და ქიმიური
ხელსაწყოების საკმარისი რაოდენობით შემოზიდვა და სკოლებზე
გაცემა. მიაღწიოს ქიმიის კაბინეტებისათვის აუცილებელი თვალსაჩი-
ნოების ლიმიტების გაზრდასა და ათვისებას; არ დაუშვას სკოლებზე
თვალსაჩინოების განაწილების უთანაბრობა.

13. სკოლებში ქიმიის კაბინეტების მოწყობის, შევსების, სწავ-
ლებაში მაქსიმალურად გამოყენებისა და, საერთოდ, ქიმიის სწავლების
გაუმჯობესების მიზნით, 1975 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდეს
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქიმიის კაბინეტების რესპუბლიკური
დათვალიერების ორთვიური.

14. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეიმუშაოს ორთვიურის ჩატარების დებულება და შესაბამისი ბრძანების პროექტი განსახილველად წარმოუდგინოს სამინისტროს კოლეგიას ა/წლის ივლისში;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 6 მარტის დადგენილება.

მინისტრი **ო. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. **თ. ვ. ლაშქარაშვილს**

მოხსენებითი ბარათი

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ, განათლების სამინისტროს პროფორიენტაციის მეთოდკაბინეტის მეთოდისტის თ. ბენდელიანის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგის შ. კაპანაძის, ამავე ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის მეთოდისტის ბ. კიკვიძის, განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის ზ. ლომსიანიძის (ხელმძღვანელი), ქ. თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტების ჯ. ლობჟანიძისა და ე. ჯაფარიძის, განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდკაბინეტის მეთოდისტის ტ. ფაჩუაშვილის, გარდაბნის რაიონის კალინინის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლის ა. ფაშაჯანოვის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის ქიმიის კაბინეტის მეთოდისტის ს. წილოსანის, ქ. თბილისის 59-ე საშუალო სკოლის დირექტორის ი. ჯაგინიანის, განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის თ. ხურცილავას შემადგენლობით, 1974 წ. ოქტომბერ-ნოემბერში შეისწავლა ქიმიის სწავლების მდგომირეობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. შემოწმებამ გამოავლინა მიღწევები და ხარვეზები საგნის სწავლებაში.

გამოირკვა, რომ ის სიძნელეები ქიმიის სწავლებაში, რომლებიც ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის პირველ ხანებში შეინიშნებოდა, ძირითადად დაძლეულია, რასაც ხელი შეუწყო მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებამ მეთოდური ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების საშუალებით. ბევრმა მასწავლებელმა უკეთ აითვისა ახალი შინაარსით მოცემული ქიმიური

კინეტიკის, ატომის აღნაგობის, ქიმიური ბმების ბუნების, ორგანულს ნივთიერებათა აღნაგობის ცალკეული საკითხები და მათი სწავლების მეთოდები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ზოგადსაგანმანათლებლ სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე.

ქიმიის სწავლების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებებმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტმა, განათლების სამინისტროს თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოების საბაზო მაღაზიამ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მეთოდურმა კაბინეტებმა.

ქიმიის ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე გამოიცა მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებელთა დასახმარებლად VII—VIII, IX და X კლასებისათვის, დროულად და საკმარისი ტირაჟით გამოდის რვაწლიანი და საშუალო სკოლების გადამუშავებული პროგრამები და სახელმძღვანელოები. ახლახან ქართულ ენაზე გამოვიდა მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის „ექსპერიმენტი ორგანულ ქიმიაში", სკოლებმა მიიღეს გადამუშავებული ფაკულტატიური კურსის პროგრამა VIII კლასისათვის.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარეს 1683 მასწავლებელმა და ქიმიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელებმა. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქ. თბილისის ქიმიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი ჟ. ჯაფარიძე), რომლის სხდომებზე სისტემატიურად იხმენდნენ ქალაქის მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებებს ცალკეულ ძნელადასათვისებელ თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხებზე.

გაუმჯობესდა ხელსაწყოებით, აპარატებით, ქიმიური ჭურჭლით, რეაქტივებით, თვალსაჩინო მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, კინოფირებითა და დიაპოზიტივებით სკოლების მომარაგება. 1974 წელს რესპუბლიკის სკოლებს ქიმიის კაბინეტების შესავსებად მიეყიდა 80.643 მანეთის თვალსაჩინოება, რამაც ძირითადად უზრუნველყო ქიმიის კაბინეტების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება და ქიმიური ექსპერიმენტის სწავლებაში ფართოდ დანერგვა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლების დირექტორებმა სწორად შეაფასეს ის როლი, რომელიც ეკუთვნის ქიმიურ

ექსპერიმენტს ქიმიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში და მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს კაბინეტებისათვის შესაფერისი სათავსოების გამოყოფისა და სათანადოდ აღჭურვისათვის. 1974 წელს რესპუბლიკის 2.664 საშუალო და რვაწლიან სკოლაში მოწყობილი იყო 1774 ქიმიის კაბინეტი (1970 წელს იყო 1512), მათ შორის რვაწლიან სკოლებში—417 (1970 წელს-323), გაუმჯობესდა სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდების, პრაქტიკული სამუშაოებისა და კლასგარეშე მუშაობისათვის გათვალისწინებული ხელსაწყო-იარაღებით, ქიმიური ქურჭლითა და რეაქტივებით კაბინეტების შევსება. ზოგ შემოწმებულ სკოლაში კი ქიმიის კაბინეტი სანიმუშოდ არის მოწყობილი, ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის 33-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ა. შარაშენიძე, ქიმიის მასწავლებელი გ. ეფიმოვა), კაბინეტს უჭირავს ორი ოთახი 80 კვმ ფართობით, აქვს საპრეპარატო ხელსაწყოების, ჭურჭლების, რეაქტივების შესანახად და მასწავლებლისა და ლაბორანტის სამუშაოდ. ერთი ოთახი გამოყოფილია თეორიული ხასიათის გაკვეთილების ჩასატარებლად. აქვე უჩვენებენ სასწავლო ხასიათის კინოფილმებს, დიაპოზიტივებს, დიაფილმებს, რისთვისაც მოწყობილია ავტომატური დაბნელება. მეორე ოთახი ექსპერიმენტის ჩასატარებლად არის გათვალისწინებული. მოსწავლეთა მაგიდებთან მიყვანილია წყალი და შექმნილია ყველა პირობა ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებისათვის. კაბინეტი გემოვნებით არის გაფორმებული და დალაგებული. საკმარისი რაოდენობით არის თვალსაჩინოება. იგი მოვლილია და სათანადოდ არის გამოყენებული სწავლებაში. მოგვარებულია კაბინეტში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

კარგად არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტი თბილისის 44-ე საშ. სკოლაში (დირექტორი ო. გრიცაკი, კაბინეტის გამგე ი. ხარალიმპოვა). მას გამოყოფილი აქვს ორი საკმარისი ფართობის ოთახი. საჭირო რაოდენობით აქვთ ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები, მოსწავლეთა ძალებით დამზადებულია ელექტროფიცირებული ტაბულები და სქემები: „დ. მენდელეევის პერიოდული სისტემა“, „ორგანული ნაერთების დამახასიათებელი რეაქციები“, „ნივთიერებათა ელექტროგამტარობა“, „ფუძეებისა და მარილების ხსნადობა“ და სხვ. კაბინეტი კარგად არის გაფორმებული და მოვლილი, სისტემატურად ხდება ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

დამაკმაყოფილებელია ქიმიის კაბინეტის მატერიალური ბაზა წითელწყაროს 1-ელ (დირექტორი ქ. ქორკოშვილი, კაბინეტის გამგე

ქ. ნაცვლიშვილი), გორის რაიონის ტყვიავის (დირექტორი დ. რაზმაძე, კაბინეტის გამგე უ. ელიაური), ხობის რაიონის 1-ლი მაისის (დირექტორი ვ. ბუკია, კაბინეტის გამგე თ. შენგელაია), ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის (დირექტორი ა. ნაკაიძე, კაბინეტის გამგე თ. ტიკარაძე) და სხვ. შემოწმებულ სკოლებში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების საქმეს ემსახურება 3327 მასწავლებელი, მათ შორის 2.508-ს აქვს უმაღლესი განათლება, 2 ან 3-წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული 193-ს, საშუალო განათლებითაა 68. 1970 წელთან შედარებით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა გაიზარდა 552-ით. ამჟამად ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით ხდება სკოლების დაკომპლექტება, რაც საგნის სწავლების გაუმჯობესების პერსპექტივებს სახავს.

შემოწმებული სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო დონეზე ატარებს გაკვეთილებს, კარგად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, ყურადღებით ეკიდება სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, სისტემატურად იმაღლებს მეცნიერულ და მეთოდურ დონეს, გულმოდგინედ ეუფლება მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, ფართოდ ნერგავს პრაქტიკაში სწავლების ტექნიკურ საშუალებებს და სხვა თვალსაჩინოებას, სათანადო დონეზე ატარებს საკონტროლო წერებს, სისტემატურად ზრუნავს ქიმიის კაბინეტის მოწყობისა და სწავლებაში მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რის შედეგად აღწევს მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს და საგნით მოსწავლეების დაინტერესებას.

მაღალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს თბილისის 33-ე საშ. სკოლის მასწავლებელი გ. ეფიმოვა. VII კლასში მან გამოკითხა სამი მოსწავლე, ფრონტალური კითხვებით შეამოწმა სხვა მოსწავლეების ცოდნა, დაფასთან გამოძახებულმა ორმა მოსწავლემ ამოხსნა ამოცანები რთულ ნივთიერებებში ელემენტების პროცენტული რაოდენობის გამოანგარიშებაზე. კლასმა კარგად იცოდა როგორც გაკვეთილი „-ოქსიდები“, ისე განვლილი მასალა, კარგად ერკვეოდნენ ამოცანების ამოხსნაში. ახალი მასალა „ჟანგბადის გამოყენება, ჰაერის შედგენილობა“ მასწავლებელმა მაღალ დონეზე ახსნა. მან ილაპარაკა ჟანგბადის მნიშვნელობაზე, მწვანე ნარგავების როლზე ჰაერის გასუფთავებისა და ჟანგბადით გამდიდრების საქმეში, ჟანგბადის კრიზისზე ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. დასმულ კითხვებზე მოსწავლეთა პასუხებმა დაგვარწმუნა, რომ მათ კარგად გაიგეს ახსნილი მასალა.

კარგად ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასშიც. მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ პერიოდულობის კანონი, ელექტრონების განაწილება ენერგეტიკულ დონეებზე, მცირე და დიდი პერიოდები, არაორგანულ ნაერთთა უმნიშვნელოვანესი კლასები. გ. ეფიმოვა ხშირად სვამს კლასის წინაშე პრობლემურ კითხვებს, დაშვებულ შეცდომებს ასწორებინებს სხვა მოსწავლეებს, აქტიურად აბამს კლასს მუშაობაში, მოსწავლეთაგან მოითხოვს ზუსტ პასუხს და სწორ მეტყველებას. იგი მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართაც, სისტემატურად იმაღლებს მეცნიერულ და მეთოდურ დონეს, ზრუნავს ქიმიის კაბინეტის სრულყოფისათვის, ატარებს დამატებით მუშაობას სუსტ მოსწავლეებთან. შედეგებიც კარგი აქვს. ამ სკოლის მოსწავლეები ხშირად გამოდიან გამარჯვებული ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში.

კარგად ატარებს გაკვეთილებს ახმეტის რაიონის მაღრანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ე. მურთაზაშვილი, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული 1955 წელს. VIII კლასში მან ახსნა გაკვეთილი „ტუტე ლითონები". ნატრიუმისა და კალიუმის თვისებების ახსნას თან ახლდა სადემონსტრაციო ცდები ლოგიკური თანმიმდევრობით, რამაც ნათელი გახადა, რატომ არიან ეს ელემენტები გაერთიანებული ერთ ბუნებრივ ჯგუფში. მასწავლებელი ყოველნაირად ცდილობს გამოუმუშაოს მოსწავლეებს ლოგიკური მსჯელობის უნარი, აჩვევს წიგნზე მუშაობას და წიგნით სარგებლობას ქიმიური ფაქტების, თეორიების, დებულებების, კანონების მომარჯვებას ამა თუ იმ ქიმიური მოვლენის ასახსნელად.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ქიმიას ნ. გესლაიძე (ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშ. სკოლა), მ. ჯანჯღავა (ხობის რაიონის ბიის საშ. სკოლა), ნ. ტარუაშვილი (სიღნაღის რაიონის ბოდბის საშ. სკოლა), ვ. ბესპალოვი (ქ. გორის მე-12 საშ. სკოლა), ნ. სკვორცოვა (თბილისის 139-ე საშ. სკოლა), ლ. წილოსანი (ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშ. სკოლა).

ქიმიის მასწავლებელთა ერთ ნაწილს სწორად ესმის კლასგარეშე მუშაობის როლი მოსწავლეთა აღზრდის, აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, პრაქტიკული ჩვევების განვითარებისა და საგნით დაინტერესების საქმეში და სათანადო მუშაობასაც ეწევა. კარგად აქვს დაყენებული ნორჩ ქიმიკოსთა წრის მუშაობა თბილისის 33-ე საშ. სკოლის მასწავლებელ გ. ეფიმოვას, საინტერესოდ არის შედგენილი წრის

სამუშაო გეგმა, რეგულარულად იკრიბებიან წრის წევრები სხდომებზე, აფორმებენ ალბომებს, ადგენენ სხვადასხვა სქემასა და აკეთებენ სტენდებს, უშვებენ კედლის გაზეთს, აწყობენ ქიმიურ საღამოებს, აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. მათ არც ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადებისათვის მზადება რჩებათ მხედველობიდან. სისტემატურად ვარჯიშობენ საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე. გასულ წელს ჩატარებულ ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის 4 მოსწავლე დაჯილდოვდა II ხარისხის სიგელით, კარგად მუშაობს აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანისა და ჩოჩხათის საშ. სკოლების ნორჩ ქიმიკოსთა წრეები (ხელმძღვანელები ლ. წილოსანი და თ. ტიკარაძე).

ქიმიის სწავლებაში მიღწეულ ზოგ წარმატებასთან ერთად შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი მომზადებული ვერ შეხვდა ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლას და დღემდე ვერ დაძლიეს ის სიძნელეები, რომლებიც მათ წინაშნ დადგა. ისინი უგულებელყოფენ იმ ჭეშმარიტებას, რომ რვაწლიანი და საშ. სკოლების ქიმიის რთული პროგრამების დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გაკვეთილები ჩატარდება მაღალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე, თუ ყველა მოვლენის, ფაქტის, დებულებისა და კანონის ახსნა ორგანულ კავშირში იქნება ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარებასთან და რომ პროგრამებით გათვალისწინებული მთელი რიგი რთული და ძნელი საკითხების მოსწავლეების მიერ გაგება და ათვისება თვალსაჩინოების გარეშე შეუძლებელია.

მიუხედავად ამ ჭეშმარიტებისა, რიგ სკოლებში, განსაკუთრებით რვაწლიან სკოლებში, არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა. 253 საშუალო და 637 რვაწლიან სკოლას არა აქვს ქიმიის კაბინეტი და გამორიცხულია ლაბორატორიული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება. რიგი რაიონების და ქალაქების სახალხო განათლების ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები და ქიმიის მასწავლებლები არაფერს აკეთებენ ქიმიის კაბინეტების მოწყობისათვის, ნაკლებად ზრუნავენ „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტების მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 ოქტომბრის (1/1579 ცირკულარული წერილის დავალებათა შესასრულებლად და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილო-

ბათა ნუსხის“ მიხედვით ქიმიის კაბინეტების მოსაწყობად. შემოწმებული რაიონებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვთ ლენტეხის, ზესტაფონის, დმანისის, ვანისა და ლანჩხუთის რაიონებს. ლენტეხისა და ამავე რაიონის სოფ. რცხმელაურის, ჩოლურის და ჟახუნდერის საშ. სკოლებში არა აქვთ ცალკე ქიმიის კაბინეტი (დირექტორები პ. ხვისტანი, ი. გაზდელიანი, ნ. ბაბლუანი, ჯ. ონიანი), სასწავლო-მატერიალური ბაზა ძალზე ღარიბია, იგი ვერ უზრუნველყოფს სადემონსტრაციო ცდების ჩატარებასაც კი. ხობის რაიონის თორსის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. კუკავა) ქიმიის გაკვეთილებს დაწყებითი სამხედრო მომზადების კაბინეტში ატარებენ. ძალზე მცირე რაოდენობის სასწავლო-თვალსაჩინოება პატარა სათავსოშია მოთავსებული. ვანის რაიონის უხუთის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ხურციძე) საერთოდ არა აქვს ქიმიის კაბინეტი. ამ სკოლაში ცდები ქიმიაში არ ტარდება. ამავე რაიონის შუამთის (დირექტორი ა. შენგელია) და ვანის გ. ტაბიძის სახ. საშუალო სკოლებს (დირექტორი თ. ლასხიშვილი) მხოლოდ კლას-კაბინეტები აქვთ, ხოლო ბზვანის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები ერთადაა. ქიმიის კაბინეტი არა აქვს აგრეთვე თბილისის 94-ე საშუალო სკოლას (დირექტორი გ. მხითარიანი).

შემოწმებით გამოირკვა, რომ რიგ სკოლებში ქიმიის კაბინეტებისათვის გამოყოფილია შესაფერისი სათავსოები, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით აქვთ ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები, ხელსაწყოები, მასალები. სათანადოდ არ არის გაფორმებული კაბინეტები, ამწოვი კარადები უმოქმედოდ დგას, არ აქვთ პირველი დახმარების საშუალებები მუშაობის დროს მოსწავლეთა დაზიანების ან მოწამვლის დროს გამოსაყენებლად, მოსწავლეები არ იცნობენ კაბინეტში მუშაობის წესებს, არ აქვთ ჩამოსარიგებელი ნივთიერებების კოლექციები, რომელთა დამზადება თვით მოსწავლეებს შეუძლიათ, კაბინეტების შევსება არ ხდება მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელსაწყოებით და რეაქტივებით, დაცული არ არის მჟავების, ადვილადაალებადი და მომწამლავი ნივთიერებების შენახვის წესები, სრულყოფილად არ არის გამოყენებული არსებული თვალსაჩინოება; ეს იმის გამო, რომ ქიმიის მასწავლებლები გულგრილად ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას და უგულებელყოფენ ქიმიის კაბინეტის როლს, ხოლო სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები არ ახორციელებენ კონტროლს. ამის გამო მოუწყობელი, შეუვსებელი და სწავლებაში გამოუყენებელია ქიმიის კაბინეტები ახმეტის რაიონის ქისტაურის (დირექ-

ტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ალბორიშვილი, კაბინეტის გამგე ლ. ყარალაშვილი), ვანის რაიონის სულორის (დირექტორი მ. დვალიშვილი, კაბინეტის გამგე მ. ერისთავი), ხობის რაიონის ქვალონის (დირექტორი ა. ცხადაია, კაბინეტის გამგე დ. ჭელიძე), დმანისის აზერბაიჯანული (კაბინეტის გამგე ხ. მამედოვი), ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის, მამათისა და სუფსის (დირექტორები: ა. ჩომაძე, გ. ჩხაიძე, ა. გარდაფხაძე, კაბინეტის გამგეები: გალოგრე, ე. ფრანგულაშვილი, ო. ჩხარტიშვილი).

სიღნაღის რაიონის ნუკრიანის პირველი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მ. ივანიშვილი, მართალია, დამწყებია და პედაგოგიური გამოცდილება არა აქვს, მაგრამ მაინც არ ეპატიება საგნის სწავლებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. იგი ახლოს არ ეკარება ქიმიურ რეაქტივებსა და ჭურჭლებს. კაბინეტში არსებული თვალსაჩინოება უპატრონოდ არის ჩაყრილი კარადებში. მან აბსოლუტურად არ იცის უმარტივესი სადემონსტრაციო ცდების ჩატარება და არც ცდილობს ისწავლოს. IX კლასში ჰიდროჟანგების და მარილებისთვისებების სადემონსტრაციოდ თითქმის მოამზადა რამდენიმე რეაქტივი, მაგრამ გაკვეთილზე არ შეიტანა. ასე მოიქცა X კლასშიც. გამოირკვა, რომ ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს რ. კვასხაძეს არ ჩაუტარებია ვერცხლისწყლის ჟანგის დაშლის რეაქცია. მან განაცხადა: „ვერცხლის წყალი სისხლის გათეთრებას იწვევს და მეშინიაო“.

ზესტაფონის რაიონის 1-ლი სვირის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი მოუთმენელ მდგომარეობაშია (კაბინეტის გამგე შ. ჭულუხიძე). აკლიათ ბევრი რამ, მაგრამ, რაც აქვთ, ისიც მოუვლელობის გამო უვარგისი გამხდარა. არ არის დაცული ნივთიერებების შენახვის წესები, კარადებს არ აქვს მინები, არ იკეტება, გაფუჭებულია ზოგიერთი ლითონი, ფოსფორი, მწვავე ტუტეები, ლითონის ხელსაწყოები. გამოუყენებელია ნაბეჭდი თვალსაჩინოება. კაბინეტში არ არის გამოკრული მოსწავლეთა მუშაობის წესები. არ აქვთ პირველი დახმარების საშუალებები. არ ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, ჩაშლილია წრეობრივი მუშაობა. ეს მდგომარეობა მით უფრო მოუთმენელია, რომ ქიმიას ასწავლის დირექტორის მოადა

ბილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ი. ვარდუკაძე, რომელიც თვით მეტად დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს და არ იყენებს თვალსაჩინოებას.

როგორც ჩანს, სკოლის დირექტორებს, მათ მოადგილეებს და ქიმიის მასწავლებლებს სათანადო დასკვნა არ გამოუტანიათ ქიმიის სწავლებისა და ქიმიის კაბინეტების მოწყობის საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებებიდან, რომლებიც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის 8 თებერვლისა და 11 დეკემბრის № 57 და 653 ბრძანებებში.

დასახელებულ და რიგ სხვა სკოლებში ხშირად გამოუყენებელია ისეთი ხელსაწყოები, როგორიცაა ოზონატორი, კიპის აპარატი, წყლის ელექტროლიზის ხელსაწყო, ევდიომეტრი. ბევრ შემთხვევაში მასწავლებლებმა არ იციან ელექტროხელსაწყოების ხმარების წესები, ისეთებმაც კი, რომლებმაც მასწავლებელთა დახელოვნების კურსები გაიარეს.

მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებისა და შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ სრულად არ არის ვამოყენებული კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები. ზოგ შემოწმებულ სკოლაში ნორჩ ქიმიკოსთა წრეები ფორმალურად არსებობს. VII—X კლასების მოსწავლეები ერთად არიან გაერთიანებული წრეში, მუშაობა არ ტარდება სექციების ან რგოლების მიხედვით. ცუდად არის შედგენილი წრის სამუშაო გეგმები, არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული ხასიათის საკითხები, ისეთები, რომლებიც მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას გამოიწვევს, დაეხმარება მათ ცოდნის დონის ამაღლებაში და შეაყვარებს საგანს. თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება, პრეპარატორული მუშაობა, მარტივი და რთული ნივთიერებებისა და მინერალების კოლექციების შედგენა, ადგილობრივ ქიმიურ საწარმოში პროდუქციის ტექნოლოგიის შესწავლა, საცდელ ნაკვეთზე მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე სასუქების გავლენაზე ცდების დაყენება, ალბომების, სქემების, სტენდების შედგენა, ქიმიური საღამოების მოწყობა, სახალხო ცდების ჩატარება, ჟურნალებიდან საინტერესო სტატიების გარჩევა, კედლის გაზეთის გამოშვება, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნა. დმანისის რაიონის არც ერთ შემოწმებულ სკოლაში დამაკმაყოფილებლად არ დგას წრეობრივი მუშაობა. ასევე ითქმის ლანჩხუთის მე-3, ლანჩხუთის რაიონის სუფსის, ჩიბათის, ვანის რაიონის სულორის და უხუ-

თის, ახმეტის რაიონის ქისტაურის, ზესტაფონის რაიონის სვირის 1-ელ და სხვა საშუალო სკოლებზე.

დასახელებულ და რიგ სხვა სკოლებში კლასგარეშე მუშაობის დაბალი დონით აიხსნება ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე მოსწავლეთა დიდი ნაწილის წარუმატებელი გამოსვლები. მართალია, ოლიმპიადაში მხოლოდ ერთეულები იმარჯვებენ, მაგრამ რესპუბლიკური ტურის მონაწილე 426 მოსწავლიდან 129-მ რომ ნული ქულა, 135-მა მხოლოდ 1 ან 2 ქულა მიიღო, ნათლად მიგვანიშნებს მათი ცოდნის დაბალ დონეზე და ცოდნის შეფასებაში არსებულ ლიბერალიზმზე, რაც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 11 ოქტომბრის № 844 ბრძანებაში.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქიმიის მასწავლებელთა მუშაობის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ზოგი მათგანი ცუდად მუშაობს, სათანადოდ ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, გაკვეთილებს ატარებს დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, არ იბრძვის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სწავლებაში მისი გამოყენებისათვის, მოსწავლეებს ვერ აძლევს ცოდნის აუცილებელ მინიმუმს, თავის სუსტ მუშაობას ნიღბავს ლიბერალიზმით მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

სუსტად მუშაობს ვანის რაიონის სულორის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მ. ერისთავი, რომელსაც დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მიუხედავად იმისა, რომ მას მუშაობის 15 წლის სტაჟი აქვს, სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, არ ატარებს სადემონსტრაციო ცდებს და პრაქტიკულ სამუშაოებს. მოსწავლეებმა არ იციან კოეფიციენტების შერჩევა ქიმიურ განტოლებაში, უანგვა-აღდგენის რეაქციები, ვერ ხსნიან მარტივ ამოცანებს. IX კლასში მათ შეცდომით შეადგინეს აზოტის დაჟანგვისა და აზოტის ორჟანგის წყალში გახსნის განტოლებები. მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი არ ასწორებს. ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა არ ჩაატარა ცდები განზავებული და კონცენტრირებული აზოტმჟავას თვისებებზე. იმის გამო, რომ თვითონ არ იცის ცდების ჩატარება, ლაბორანტს ავალებს მას. ვერც VII კლასში ჩაატარა ნორმალური გაკვეთილი. საშინაო დავალებად მიცემულ ამოცანაში სპილენძის პროცენტული რაოდენობის გაანგარიშებაზე სპილენძის ჟანგში პასუხი, 80%-ის ნაცვლად, მიიღეს 26,38%, რაც მასწავლებელს

შეუნიშნავი დარჩა. დაბალ დონეზე ახსნა „ქიმიური განტოლებები“: თემის შინაარსი ვერ დაიყვანა მოსწავლეებამდე, მასალის შინაარსი ვერ დაუკავშირა მის პრაქტიკულ გამოყენებას. მასწავლებელი ვერ ფლობს ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკას და ვერ იყენებს სწავლებაში კაბინეტში არსებულ თვალსაჩინოებას. მ. ერისთავის სუსტ მუშაობაზე განათლების სამინისტროში შემოსული იყო მამხილებელი წერილი. განათლების განყოფილებამ შეისწავლა მისი მუშაობა, მაგრამ სათანადო ღონიძიებები არ გაატარა.

ასევე სუსტად მუშაობს დმანისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ხ. მამედოვა, რომელსაც დამთავრებული აქვს კიროვაბადის პედინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი 1971 წელს. X კლასში საშინაო დავალებად მიცემული ჰქონდათ „ეთილენი“, გამოძახებული მოსწავლე კი მოყვა „ციკლოპარაფინებს“, რასაც მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია. გამოირკვა, რომ მასწავლებელს არასოდეს არ აუხსნია გაკვეთილი კლასში, ამიტომ მოსწავლეებმა თითქმის არაფერი იციან. მათ არასწორად დაწერეს ციკლოპარაფინების ფორმულები:



და ა. შ., რაც მასწავლებელმა სწორად ჩათვალა. თვით მასწავლებელი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან უნაჯერ ნახშირწყალბადებს და ნახშირწყალბადების რადიკალებს. CH_3, C_2H_5, C_3H_7 მან უნაჯერ ნახშირწყალბადებად გაასაღა. მასწავლებლის დავალებაზე, მეთანისაგან მიეღო უნაჯერი ნახშირწყალბადი, მოსწავლემ დაწერა $CH_4 \rightarrow CH_3 + H$, რასაც მასწავლებელი დაეთანხმა. ახალი მასალის „დიენური ნახშირწყალბადების“ ახსნის დროს მასწავლებელმა ვერც ერთი ფორმულა სწორად ვერ დაწერა, მაგალითად: $CH_2—C=CH—CH_2$, $CH_2=CH—CH=CH_2—CH_2—CH_3$, $CH=CH—CH_2—CH=CH_3$. თვით მასწავლებელმა არ იცის დიენური ნახშირწყალბადების ნომენკლატურა. ანალოგიურად ჩატარდა გაკვეთილი IX კლასში. მოსწავლეებმა არ იცოდნენ „ელექტროლიზი“, უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. მარილების ელექტროლიტური დისოციაციის განტოლებების შედგენისა და ატომების (იონების) მიერ ელექტრონების შეერთება-გაცემის პროცესების წერისას მოსწავლეთა მიერ დაშვებული ისეთი უხეში შეცდომები,

როგორიცაა: $CuCl_2 = Cu^+ + Cl_2^-$, $H_2 — 2e^- = H_2^+$, $H_2O = H_2 + OH$, $KJ =$

$K+J$ და სხვ. მასწავლებელს შეუნიშნავი რჩებოდა. ახალი მასალა „ჟანგეულთა ჰიდრატების თვისებების დამოკიდებულება მათი იონების მუხტებსა და რადიუსზე“ მასწავლებელმა ვერ ახსნა. უფრო მეტიც, მან შეცდომით დაწერა გოგირდმჟავას სტრუქტურული ფორმულა

$$\left(H-\overset{\bullet}{O}-\underset{\underset{O}{\|}}{S}=O-H\right)$$

ბერილუმის ჰიდროჟანგის ელექტროლიტური დიოციაცია ასე გამოსახა: $BeOH \rightarrow Be^{+}+OH^{-}$. მოსწავლეებს არა აქვთ საშინაო დავალებების რვეულები, არ ტარდება საკონტროლო წერები და სადემონსტრაციო ცდები, ჩაშლილია კლასგარეშე მუშაობა. მიუხედავად ასეთი სუსტი მუშაობისა, ხ. მამედოვი ორ სკოლაში ასწავლის და აქვს 33 კვირეული საათი.

ასევე დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს ამავე რაიონის დალარის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ა. ქერიმოვი, რომელსაც 1950 წელს დაუმთავრებია ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი ბიოლოგია-გეოგრაფიის განხრით, ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს ქ. ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში. მან არ იცის საგანი, არ ემზადება გაკვეთილისათვის, ვერ იგებს მოსწავლეები სწორად ყვებიან თუ არა გაკვეთილს. საშინაო დავალებად მიცემული თემა „კაუჩუკი“ მოსწავლეებმა არ იცოდნენ. გაუგებარი საკითხები მასწავლებელმა ვერ აუხსნა, იზოპრენული კაუჩუკის ფორმულა შეცდომით დაწერა:

$$CH_2=\underset{\underset{CH_3}{|}}{C}-CH=CH_2=CH_2=\underset{\underset{CH_3}{|}}{C}-CH=CH_2,$$

ლებედევის ხერხით მიღებული ბუტადიენური კაუჩუკის ფორმულა კი კი ასე წარმოადგინა: $CH_2-C-CH-CH_2$. მას წარმოდგენა არა აქვს ცის და ტრანს-იზომერიაზე. ახალი მასალა „აცეტილენი“ მასწავლებელმა ვერ დაიყვანა მოსწავლეებამდე. ვერ აუხსნა მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ქიმიური ბმების ბუნება მოლეკულაში, არასწორად დაწერა აცეტილენის ბრომირების რეაქციის განტოლება. მან ბრომის ქიმიური ნიშანიც კი არ იცის. ნაცვლად Br წერს B. ანალოგიურად დაბალ დონეზე ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასშიც. სკოლაში ქიმიის სწავლების მეტად დაბალი დონე იმით არის გამოწვეული, რომ საგანს არასპეციალისტი ასწავლის, რომელიც არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცუდად მუშაობს და მეტად დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის საშუალო სკოლის მასწავ-

ლებელი ი. იარლანაშვილი, რომელსაც 1963 წელს დაუმთავრებია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. იგი სუსტად ფლობს საგანს და მისი გადაცემის მეთოდებს, უშვებს ქიმიური ხასიათის არსებით შეცდომებს, გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. IX კლასში მან ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე. 4 ამოცანის ნმცვლად მისცა 2 ამოცანა, თანაც ამოცანები შეცდომით ჩააწერინა: „ჩაატარეთ რეაქციები შაბიამნის წყალხსნარსა და გოგირდმჟავას შორის“: მასწავლებლის „დახმარებით“ მოსწავლეებმა შეადგინეს განტოლება $CuSO_4+H_2SO_4$, $CuSO_4+H_2SO_4$. პრაქტიკული ნაწილი დავალებისა, ცხადია, არ შესრულდა. პარალელურ კლასში იგივე თემა ჰქონდა, მაგრამ მან მოისურვა განვლილი მასალის გამეორების გაკვეთილის ჩატარება, რამაც გამოააშკარავა მოსწავლეთა სრული უცოდინარობა. მოწავლეებმა არ იცოდნენ ელექტროლიზის პროცესი, მარტივი ამოცანების ამოხსნა ელექტროლიზზე, იონიტების მოქმედების პრინციპი და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში, ვერ ასხვავებენ კათიონიტებს და ანიონიტებს, არ იცოდნენ თვისებითი რეაქციები უკვე ნასწავლ კათიონებსა და ანიონებზე. დაბალია X კლასების მოსწავლეთა ცოდნაც. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულების წარმოებას, ამოცანების ამოხსნას, ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარებას, წრეობრივ მუშაობას და, რაც მთავარია, საკუთარი მეცნიერული და მეთოდური დონის ამაღლებას.

ამავე რაიონის სადგურ სვირის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს თ. კობახიძეს დამთავრებული აქვს პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი (დაუსწრებლად) 1966 წელს. აქვს პედაგოგიური მუშაობის 18 წლის სტაჟი, მაგრამ მოსწავლეებს ვერ აძლევს სათანადო ცოდნას. X კლასში მან მეტად ადვილი საკითხები შეარჩია საკონტროლო წერისათვის. მიუხედავად ამისა, 22 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა დაიმსახურა დამაკმაყოფილებელი შეფასება. დანარჩენებმა „2“ მიიღეს. ეს იმის შედეგია, რომ მასწავლებელი უგულებელყოფს თვალსაჩინოების როლს სწავლებაში. VIII კლასში პერიოდულობის კანონის შესწავლისათვის მოსამზადებელ პერიოდში მას არ ჩაუტარებია ნატრიუმისა და კალიუმის წყალთან ურთიერთქმედების ცდები. თვით გამოკითხვის პროცესშიც, რომელსაც 40 წთ. მოანდომა, არ გამოუყენებია დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემა, ხოლო ახალი მასალა „ატომის აგებულება, ელემენტის რიგითი

ნომერი—მისი ატომგულის მუხტი“ 5 წუთში „ახსნა“ ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე. მოსწავლეებმა ახსნილიდა. ვერაფერი აითვისეს. ნაკლოვანებებია გაკვეთილის ორგანიზაციაშინ თვალსაჩინოების უგულებელყოფა, მოსწავლეებთან არასაკმარისი მუშაობა, ღარიბი მიტერიალური ბაზა და კლასგარეშე მუშაობის დაბალი დონე ის მიზეზებია, რომლებმაც მოსწავლეთა დაბალი მომზადება განაპირობეს.

სუსტად მუშაობს ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი რ. კვახსვაძე, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და მუშაობის დიდი სტაჟი (18 წელი), გავლილი აქვს ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, მაინც ვერ ფლობს გაკვეთილის ჩატარების სრულყოფილ მეთოდებს. VII კლასში მან ზერელედ შეამოწმა წერითი საშინაო დავალება. შემდეგ მოახდინა მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა ისე, რომ ყურადღების გარეშე დარჩა მოსწავლეთა უმრავლესობა. მოსწავლეებმა ცუდად იციან ქიმიური ენა და ტერმინოლოგია, კოეფიციენტების შერჩევა და დასმა ქიმიურ განტოლებაში. ვერ მოიტანეს დაშლის რეაქციის განტოლებები. ეს იმიტომ, რომ მასწავლებელი მხოლოდ ცარცს და დაფას იყენებს გაკვეთილის ახსნის დროს. ახალი მასალა მას არ აუხსნია, მოახდინა მხოლოდ „განვლილი მასალის განმეორება და განზოგადება“. მოსწავლეები ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან ატომის მასას და ატომურ მასას, თვით მასწავლებელიც ვერ ერკვევა ამ საკითხში. IX კლასის მოსწავლეები ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან ამიაკის წვას კატალიზატორის თანაობისას და უკატალიზატოროდ, ვერ წერენ რეაქციათა განტოლებებს. უჭირთ კოეფიციენტების შერჩევა შეერთებული და გაცემული ელექტრონების რაოდენობის გათვალისწინებით. ეს ხელს არ უშლის მასწავლებელს მაღალ ნიშანზე („4“) შეაფასოს მოსწავლის ცოდნა. იგი კმაყოფილდება მოსწავლისაგან გაკვეთილის მოყოლით და არ ეკითხება განვლილ მასალას. ახალი მასალა „ამიაკიანი წყალი“ დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ახსნა, გამოყენებული არ იყო თვალსაჩინოება—სითხეების ელექტროგამტარობის ხელსაწყო და ამონიუმის იონის წარმოქმნის მექანიზმის სქემა. დაფაზე მის დახაზვაზე დიდი დრო დახარჯა. სტამბური წესით დამზადებული ყველა სქემა კი კაბინეტში ხელუხლებელი იყო. ამასთან, ამონიუმის იონის წარმოქმნა დამახინჯებულად და გაუგებრად იქნა „ახსნილი“. იგი ბავშვებს ეუბნება: „წყალი მოიწყვეტს ერთ პროტონს“, გაარკვიონ აზოტის დაჟანგულობის ხარისხი ამონიუმის

მარილებში. განვლილი მასალის გამოკითხვისას გამოირკვა, რომ მოსწავლეებმა არ იციან ელექტროლიტური დისოციაციის მექანიზმი, ჟანგვა-აღდგენის პროცესების არსი, ჟანგეულთა ჰიდრატების თვისებების დამოკიდებულება ცენტრალური იონის რადიუსსა და მუხტზე. ყურადღება არ ექცევა საშინაო დავალებების რვეულების წარმოებას. არ ტარდება საკონტროლო წერები, პრაქტიკული სამუშაოები უხარისხოდ და ეპიზოდურად ტარდება.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება ამავე რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლაში, სადაც საგან ს ასწავლის ს. გალოგრე. მას აქვს პედაგოგიური განათლება, მუშაობის 20 წლის სტაჟი, მაგრამ სათანადოდ ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს. მისმა მოსწავლეებმა სუსტად იციან პროგრამის ძირითადი საკითხები, არ არიან დაუფლებული ქიმიურ ენას, პრაქტიკულ ჩვევებსა და ლოგიკურ მსჯელობას. დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს IX კლასის მოსწავლეებმა აზოტმჟავას თვისებებზე. ზერელე წარმოდგენა აქვთ ელემენტების დაჟანგულობის ხარისხის ცვლილებაზე ქიმიური რეაქციების დროს. ასეთივე მდგომარეობაა VIII კლასშიც. შემჩნეული ნაკლოვანებები იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებელი დაბალ დონეზე, ზერელედ ხსნის ახალ მასალას, ზოგჯერ თვითონ ვერ ერკვევა საკითხებში (ბმების ტიპები), ვერ აბამს კლასს მუშაობაში, არ იყენებს თვალსაჩინოებას.

მნიშვნელოვანი ხარვეზებია სწავლებაში ხობის რაიონის თორსის საშუალო სკოლაში სადაც ქიმიას ასწავლის ნ. ყუფარაძე, მას დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, აქვს 5 წლის პედაგოგიური სტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ მის მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებია და საგნის სწავლებას სათანადოდ ვერ უძღვება, ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები ერთხელაც არ გაუვლია. შემოწმების დღეს IX კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ გაკვეთილი—ამონიუმის მარილები და განვლილი მასალა. მიუხედავად ამისა, მასწავლებელი ახალ მასალაზე გადავიდა, მაგრამ ახსნა იგი არასრულყოფილად. არ მისცა აღსაზრდელებს სრული წარმოდგენა აზოტის ჟანგეულებზე, მათი მიღების ხერხებზე, თვისებებზე, განსაკუთრებით აზოტის ორჟანგის წყალთან ურთიერთქმედებაზე. ახალი მასალის სათანადოდ დამუშავება ვერ მოასწრო, საშინაო დავალება ზარის დარეკვის შემდეგ მისცა. X კლასის მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ „ნახშირწყალბადების ჰომოლოგიური რიგების ურთიერთკავშირი“, უჭირთ ფორმულების წერა, სუსტად ერკვევიან არო-

მატული ნახშირწყალბადების თვისებებში, აღნაგობაში, უჭირთ ნაჯერი
და უნაჯერი ნახშირწყალბადების ურთიერთგარდაქმნა.

ასეთივე ნაკლოვანებებით ხასიათდება საგნის სწავლება ამავე
რაიონის ქვალონის (მასწავლებელი დ. ჭელიძე), სიღნაღის რაიონის
ნუკრიანის (მასწავლებელი მ. ივანიშვილი), ქ. თბილისის 94-ე (მასწავ-
ლებელი ა. არუთინიანი), ახმეტის რაიონის დუისის (მასწავლებელი
ე. მარგოშვილი), ვანის რაიონის უხუთის (მასწავლებელი ჟ. ხურციძე),
დმანისის რაიონის ყარაბულახის (მასწავლებელი ე. შარიფოვი) და ირგან-
ჩაის (მასწავლებელი ს. კასუმოვი), ზესტაფონის რ-ნის პირველი სვი-
რის (მასწავლებელი ო. ჩხარტიშვილი) საშუალო სკოლებში.

რესპუბლიკის ზოგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქიმიის
სწავლების დაბალი დონე მიუთითებს იმაზე, რომ ადგილებზე ჯერ
კიდევ არ ტარდება სათანადო მუშაობა მასწავლებელთა კვალიფიკა-
კაციის ასამაღლებლად. საკმარისი ყურადღება არ ექცევა მეთო-
დურ მუშაობას, სკოლებში იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს
სკოლის დირექტორები და სახალხო განათლების განყოფილებები
გადამჭრელ ღონისძიებებს არ ატარებენ მდგომარეობის გამოსასწო-
რებლად, ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ ყველა მასწავლებელმა
გაიაროს დახელოვნების კურსები და იმუშაოს თავის თავზე დამოუ-
კიდებლად. შემოწმებულ სკოლებში ვერ ვნახეთ ისეთი შემთხვევა,
რომ სათანადო კონტროლი გაეწიოთ მასწავლებელთა თვითგანათლე-
ბის პროგრამით მუშაობაზე. უფრო მეტიც, განათლების განყოფილე-
ბებმა არ დაუგზავნეს მასწავლებლებს ქიმიის მასწავლებელთა თვით-
განათლების პროგრამა, რომელიც საკმაო ტირაჟით იქნა გამოცემუ-
ლი. ეს ითქმის სიღნაღის, ვანის და ზოგ სხვა რაიონზეც.

ქ. გორის სკოლების 22 მასწავლებლიდან, რომელთაც მუშაობის
საკმაოდ დიდი სტაჟი აქვთ, ქიმიის მასწავლებლების დახელოვნების
კურსები არ გაუვლია 12-ს. ლენტეხის რაიონში—11-ს (17-დან), ვანის
რაიონში 15-ს (36-დან), ლანჩხუთის რაიონში 10-ს (33-დან) და სხვა.
გარდა ამისა, ისეთი შემთხვევებიცაა, როცა მოსწავლეებს დიდი ხანია
არ გაუვლიათ კურსები. უმეტესად მათ, რომელთა მუშაობაში
სერიოზული ხარვეზები შეინიშნება. როგორც ჩანს, ამ საქმეს ნაკლები
სერიოზულობით ეკიდებიან ადგილებზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ,
რომ ხშირად თვით კურსგავლილმა მასწავლებელმა არ იცის ზოგიერთი
სადემონსტრაციო ცდის ჩატარება და კარგად ვერ ერკვევა ზოგი
ხელსაწყოს მოქმედების პრინციპი (ოზონატორი, ელექტროდენით

წყლის დასაშლელი ხელსაწყო და სხვა). საჭიროდ მიგვაჩნია, მასწავ-ლებელთა დახელოვნების კურსებზე გამახვილდეს ყურადღება ექსპე-რიმენტის ჩატარებაზე.

ქიმიის სწავლებაში გამოვლინებული სერიოზული ხარვეზები იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგან ქიმიას არასპეციალისტები ასწავლიან, უმეტეს შემთხვევაში ბიოლოგები ან საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ საგანს. განსაკუთრებით უჭირთ ლაბორატორიული ვალსაჩინოების გამოყენება, სამწუხაროდ, ზოგან უარესი მდგომარეობაცაა—ქიმიას ასწავლიან სა-სოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური ან სამასწავლებლო ინსტიტუტე-ბის კურსდამთავრებულები, რომელთაც არც საგანი იციან და არც მისი სწავლების მეთოდები. ახმეტის რაიონის ქისტაურის საშუალო სკოლაში მეორე მასწავლებლად დაუნიშნავთ ე. გუგუტიშვილი იმისა-თვის, რომ მას სჭირდებოდა ცნობა პედაგოგიურ ინსტიტუტში მო-საწყობად. არასპეციალისტები ასწავლიან ქიმიას ხობის რაიონის ზუ-მის, ქარიატის, ალონის, ყულევის, II მურიფულის, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის, ქვემო მაჩხაანის, ხირსის, წითელწყაროს რუსულ და გამარჯვების, ლანჩხუთის რაიონის სუფსის, ქვიანის და ღრმულის საშუალო და რვაწლიან სკოლებში.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგი-ლეების კონტროლი და დახმარება ქიმიის მასწავლებლებისადმი. ისინი გაკვეთილებს იშვიათად ესწრებიან. არ ამოწმებენ და პრინციპულ სი-მაღლემდე არ აჰყავთ საგნის სწავლებაში შემჩნეული ნაკლოვანებები, პედაგოგიური საბჭოების მსჯელობის საგნად არ ხდიან მას, ზოგჯერ კი არ აძლევენ კვალიფიციურ მითითებებს. თბილისის 44-ე საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს (სკოლის დირექტორი ო. გრიცაკი) გა-ნუხილავს ქიმიისა და ფიზიკის სწავლების მდგომარეობა სკოლაში მაგრამ სათანადო რჩევა არ მიუცია პედაგოგებისათვის. დადგენილე-ბაში წერია: „ქიმიის მასწავლებლებმა გაკვეთილის თემა დაწერონ დაფაზე, მოსწავლის გამოძახებისას მოსთხოვონ მას დღიურის გამო-ტანა, რაშიც შეტანილ იქნეს ნიშანი, მოსწავლეს გამოეცხადოს მი-ღებული ნიშანი. სხვა ნაკლოვანებები ვერ შეუმჩნევიათ, თუმცა სკო-ლაში ქიმიის სწავლება ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ჭაბაშვილ) პერიოდულად იხილავენ ქიმიის სწავლების მდგომარეობას, მაგრამ ობიექტურ შეფასებას ვერ აძლევენ მასწავლებლის მუშაობას. თვლიან, რომ მასწავლებელი საუკეთესოა, თუმცა მის მუშაობაში საკმაოდ

ხელშესახები ნაკლოვანებებია. ამავე რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის (დირექტორი ზ. ბოლღაშვილი) პედაგოგიური საბჭოს დადგენილებაში (1970 წ.) ჩაუწერიათ, რომ სკოლის დირექციამ დახმარება გაუწიოს მასწავლებელს თვალსაჩინოებით მომარაგებაში. ოთხი წლის შემდეგ (1974 წ.) იგივე გაიმეორეს, ქიმიის კაბინეტი კი კვლავ ღარიბია.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების გასაუმჯობესებლად რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ კადრებთა ნმუშაობა, სკოლებში დააკომპლექტონ კვალიფიციური პედაგოგებით, არ დაუშვან არასპეციალისტების ან ცუდი სპეციალისტების დანიშვნა მასწავლებლებად, სათანადო წესების დაცვით გაანთმვისუფლონ ამჟამად მომუშავე არასპეციალისტები და ისინი, ვინც სათანადოდ ვერ უძღვებიან საგნის სწავლებას, იზრუნონ ქიმიის მასწავლებლებისა და ლაბორანტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მიაღწიონ, რომ ყველა პედაგოგი სისტემატუდად იმაღლებდეს საკუთარ იდეურ, მეცნიერულ და მეთოდურ დონეს, მათთვის განკუთვნილი თვითგანათლების პროგრამის ფარგლებში. გაკვეთილებზე სისტემატური მოსმენის გზით. ღრმად უნდა ჩაწვდნენ საგნის სწავლების მდგომარეობას, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები, შეუნელებლად იზრუნონ ქიმიის კაბინეტები მოწყობისა და სწავლებაში მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქიმიის სწავლების მდგომარეობის საკითხი განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

თ. ბენდელიანი, შ. კაპანაძე, ბ. კიკვიძე, ზ. ლომსიანიძე (ხელმძღვანელი), **ჯ. ლობჟანიძე, უ. ჯაფარიძე, ი. ჯაგიანი, ტ. ფაჩუაშკილი, ა. ფაშაჯანოვი, ს. წილოსანი, თ. ხურცილავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 6 თებერვალი, 1975 წელი

1975 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პირველი რესპუბლიკური კონკურსის დევიზით: „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ჩატარების შესახებ

სახელმწიფო რესპუბლიკური შტაბის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, რომელიც ეხება 1975 წლის 15 თებერვლიდან 30 აპრილამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პირველი რესპუბლიკური კონკურსის დევიზით: „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ჩატარებას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს:

ა) დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პირველი რესპუბლიკური კონკურსის დევიზით „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ჩატარების შესახებ;

ბ) კონკურსის „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა (დანართი № 1);

გ) ანკეტა პირველი რესპუბლიკური კონკურსის „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ შედეგების დასაჯამებლად (დანართი 2).

2. დაევალოთ ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონული ავტოინსპექციის განყოფილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს, საზოგადოებრივ საწყისებზე არსებულ ავტოინსპექციის საბჭოებს, დამტკიცებული დებულების შესაბამისად ორგანიზაცია გაუკეთონ და აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს პირველ რესპუბლიკურ კონკურსში დევიზით: „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“.

3. პირველ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა დასაჯილდოებლად გამოყონ:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 300 (სამასი) მანეთი;

ბ) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციამ-300 (სამასი) მანეთი.

გ) საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა-პიონერულ ბანაკ „არტეკის“ 10 საგზური უფასოდ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე	საქართველოს სსსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
უშ. ობოლაძე	**ვ. შადური**	**მ. ფაჩუაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პირველი რესპუბლიკური კონკურსის დებიზით: „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ჩატარების შესახებ

I. კ ო ნ კ უ რ ს ი ს მ ი ზ ა ნ ი

მივაღწიოთ, რომ მოსწავლეებმა ფრიადზე იცოდნენ ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხოების წესები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ საგზაო შემთხვევებით გამოწვეული ბავშვთა ტრავმატიზმი.

II. კ ო ნ კ უ რ ს ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დ ა წ ე ს ი

1. რესპუბლიკური კონკურსი ტარდება: დაწყებით, რვაწლიან, საშუალო სკოლებში, აგრეთვე სკოლა-ინტერნატებში 1975 წლის 15 თებერვლიდან 30 აპრილამდე.

2. კონკურსში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა ავტოინსპექციის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებსა და რაიონებში იქმნება საკონკურსო კომისიები ავტოინსპექციის, კომკავშირის რაიკომებისა და მათ ხელმძღვანელთა შტაბები.

3. საკონკურსო კომისია შეიმუშავებს ღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობას, დაიყვანს ყველა სკოლამდე კონკურსის წესდებას და მის ამოცანებს, გაუწევს დახმარებას, შეამოწმებს და შეაფასებს ჩატარებულ მუშაობას. ამ სამუშაოს შესრულებაში უნდა ჩაებას კომისიის ყველა წევრი, რომლებიც მიემაგრებიან სკოლების გარკვეულ ჯგუფს და უხელმძღვანელებენ მათ კონკურსის ჩატარების ბოლომდე.

4. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად საკონკურსო კომისია ანხორციელებს მუდმივ კონტროლს, თუ როგორ სრულდება კონკურსის პირობები ადგილებზე, შემდგომ ისმენს ანგარიშს სხდომებზე.

III. კონკურსის პირობები

1. სკოლის მოსწავლეებმა უნდა. შეისწავლონ ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის წესები, ველოსიპედითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესები. მოძრაობის წესების შესწავლის შემდეგ უნდა ჩააბარონ დიფერენციალური ჩათვლები.

2. საპრიზო ადგილების განსაზღვრისას კომისიამ უნდა გაითვალიწინოს:

ა) არის თუ არა მოწყობილი მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველი კუთხე და როგორია მისი გაფორმების ხარისხი;

ბ) ფოტოგამოფენის „სკოლისაკენ უსაფრთხო გზა“, „ჩვენ ვეხმარებით ნორჩებს გზაზე გადასვლისას“, აგრეთვე კედლის გაზეთების, სატირული ფურცლების, შუქნიშნების მაკეტებისა და გზაჯვარედინების არსებობა.

3. კონკურსის მასალები პერიოდულად უნდა იქნეს გაშუქებული სკოლის კედლის გაზეთებში და პრესის ფურცლებზე.

4. საგზაო მოძრაობის წესების შესწავლა უნდა დავუკავშიროთ პროგრამულ მასალას რუსული, ქართული, უცხოური ენების, შრომის, ხატვისა და სხვა საგნების გაკვეთილებზე.

5. ჩატარდეს კლასებს შორის პრაქტიკული მეცადინეობები და შეჯიბრი საგზაო მოძრაობის წესებზე ქუჩებში და გზაჯვარედინებზე.

საჭიროა ვაწარმოოთ დამუშავებული მასალისა და ჩატარებული ღონისძიებების მოსწავლეთა დღიურებში ჩაწერა.

6. კონკურსის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის სკოლებში შეიქმნას შტაბი, რომლის შენადგენლობაში შევლენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი (თავმჯდომარე), სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენელი, კლასის ხელმძღვანელები და უფროსი კლასის მოსწავლეები.

IV. შტაბი უზრუნველყოფს:

ა) საგზაო მოძრაობის წესების შესწავლას, ვიქტორინების ჩატარებას, თამაშობებს, საუბრებს, მხიარულთა და საზრიანთა კლუბს,

ავტომეურნეობების ხელმძღვანელებთან და ავტოინსპექციის მუშაკებთან შეხვედრებს, მოძრაობის წესების ამსახველი კინოფირების ჩვენებას და აწარმოებს დღიურს ამ ღონისძიებათა ჩატარების აღრიცხვისათვის;

ბ) სკოლების ყველა მოსწავლის შემოწმებას საგზაო მოძრაობის წესების ცოდნაში;

გ) თავისი სკოლის მიკრორაიონში აწარმოებს მოძრაობის ახალგაზრდა ავტოინსპექციის წევრების საპატრულო სამსახურს, რათა ებრძოლოს მოსწავლეთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას;

დ) უფროსი კლასების შეფობას უმცროსებზე საგზაო მოძრაობის წესების ათვისებაში დახმარების მიზნით;

ე) დახმარებას კონკურსისათვის თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებების გაფორმებაში (კედლის გაზეთი, სატირული ფურცლები, სტენდები და ა. შ.).

IV. კონკურსის შედეგების შეჯამება

1. შეჯამდება რა კონკურსის შედეგები, სასკოლო შტაბი წარუდგენს საქალაქო, რაიონულ საკონკურსო კომისიებს ანკეტას კონკურსის შედეგების შესახებ და აგრეთვე ახსნა-განმარტების ფურცელს 1975 წლის 15 აპრილისათვის (იხილეთ დანართი № 2).

2. ანკეტისა და ახსნა-განმარტების ფურცელთან ერთად სარაიონო და საქალაქო კომისიებს შტაბმა უნდა წარუდგინოს: შტაბის სხდომების ოქმი კონკურსის შედეგების შესახებ, სასკოლო კედლის გაზეთების კომპლექტი და სატირული ფურცლები, სადისპუტო ვიქტორინების, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის, მასალები რომლებიც ასახავენ კონკურსის შესრულების პირობებს.

3. პირველი ადგილი მიეკუთვნება იმ სკოლებს, რომლებმაც ყველა პირობა შეასრულეს უმაღლესი შეფასებით—„ფრიადი“ და რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა, შეექმნათ ხელმისაწვდომი საშუალებები და ხერხები ქუჩაში მოძრაობის წესების უკეთ შესწავლისათვის.

4. მეორე ადგილი მიეკუთვნება იმ სკოლებს, რომლებმაც შეასრულეს ყველა პირობა შეფასებით—“კარგი“.

5. მე-3 ადგილი მიეკუთვნება იმ სკოლებს, რომლებმაც ყველა პირობა შეასრულეს შეფასებით—„დამაკმაყოფილებელი“.

6. სკოლას, რომელშიც რომელიმე მოსწავლემ მიიღო ტრავმა საგზაო მოძრაობის წესების უცოდინარობის გამო, საპრიზო ადგილი არ მიეკუთვნება.

7. სარაიონო (საქალაქო) საკონკურსო კომისიები ატარებენ წინასწარ შემოწმებას იმ სკოლებში, რომლებიც არიან საპრიზო ადგილის პრეტენდენტები რაიონის (ქალაქის) მიხედვით.

8. 1975 წლის 25 აპრილისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, საოაიონო და საქალაქო საკონკურსო კომისიებმა სხდომების ოქმებთან ერთად, კომისიას უნდა წარმოუდგინონ ანკეტა და თანდართული განმარტებითი ბარათი აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ავტოინსპექციის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებულ საკონონკურსო კომისიებში.

9. 1975 წლის 5 მაისისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან არსებული რესპუბლიკური საკონკურსო კომისია იმ მასალების მიხედვით, რომლებსაც წარმოადგენენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საკონკურსო კომისიები, განსაზღვრავს გამარჯვებულებს და მიანიჭებს საპრიზო ადგილს.

V. კონკურსის მონაწილეთა წახალისება

1. სკოლები, რომლებიც საქალაქო კონკურსში დაიკავებენ პირველ ადგილს, საქალაქო საკონკურსო კომისიების წარდგენით, დაჯილდოვდებიან გარდამავალი ვიმპელით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ნაქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სიგელით.

კონკურსის აქტიური მონაწილენი საქალაქო საკონკურსო კომისიების წარდგენით, დაჯილდოვდებიან სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

2. მეორე და მესამე ადგილზე გასული სკოლები დაჯილდოებულ იქნებიან საქართველოს ალკკ ქალაქკომის, თბილისის განათლების განყოფილებისა და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის

სახავტოინსპექციის შინაგან საქმეთა განყოფილების სიგელებით, ხოლო კონკურსის მონაწილეები, სკოლების წარდგენით, დაჯილდოვდებიან სიგელებით.

3. რესპუბლიკური კონკურსის შედეგების მიხედვით კომისიები ანიჭებენ ექვს პირველ, სამ მეორე და სამ მესამე ადგილს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილია ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრები, აგრეთვე კონკურსის ყველაზე აქტიურ და გამარჯვებულ მონაწილეთათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოყოფს პიონერულ ბანაკ „არტეკის“ 20 ცალ საგზურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1975 წლის 6 იანვრის ერთობლივი დადგენილებისა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის პირველი რესპუბლიკური კონკურსის—„იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობა

1. **სოლორაშვილი დ.**—მილიციის პოდპოლკოვნიკი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე—რესპუბლიკური საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

2. **ტონია ს.**—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

3. **ბიბილური თ.**—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი;

4. **ფარქოსაძე ო.**—მილიციის მაიორი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ანტოინსპექციის III განყოფილების უფროსი;

5. **კობახიძე ა.** — მილიციის პოდპოლკოვნიკი, ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე;

6. **პეტრიაშვილი ა.** — უმცროსი ლეიტენანტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორი—რესპუბლიკური საკონკურსო კომისიის მდივანი;

7. **ახობაძე დ.**—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ანტოინსპექციის საზოგადოებრივ საწყისებზე ავტოინსპექციის თავმჯდომარე;

8. ალავერდაშვილი გ.—გაზეთ „სახალხო განათლების“ სასკოლო განყოფილების უფროსი;

9. ჯავახოვი გ.—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის საგზაო მოძრაობის ახალგაზრდა ინსპექტორთა შტაბის უფროსი;

10. ავეტისიანი ნ.—წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ინსპექტორი;

11. შუბითიძე ა.—ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის III განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1975 წლის 6 თებერვლის ერთობლივი დადგენილებისა

1975 წელს სკოლათა შორის ჩატარებული რესპუბლიკური კონკურსის „დევიზით — „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ შედეგების შესაჯამებლად

ა ნ კ ე ტ ა

_____

(რაიონის, სკოლის დასახელება)

_____

(სკოლის დირექტორის გვარი, სახელი და მამის სახელი)

1. სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა_____, მათ შორის 10 საათიანი პროგრამით შეისწავლა საგზაო მოძრაობის წესები_____მოსწავლემ.

დაიმსახურა:

„ფრიადი“_____მოსწ.,

„კარგი“_____ მოსწ.,

„დამაკმ. _____მოსწ.

2. საგზაო მოძრაობის წესების შესწავლისა და პროპაგანდისათვის ჩატარებული ღონისძიებები:

I. ჩატარებულია საუბრები:

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მიერ _____
(საუბრების რაო-ობა)

მოისმინა _____ მოსწ.

ბ) საზოგადოებრივი ინსპექტორების მიერ.

_____ მოისმინა _____ მოსწ.
(საუბართა რაოდენობა)

გ) უმცროსი კლასის მოსწავლეთათვის უფროსკლასელთა მიერ.

_____ მოისმინა _____ მოსწავლემ;
(საუბართა რაოდენობა)

3. ნაჩვენებია კინოფილმები საგზაო მოძრაობის წესებზე

_____ ნახა _____ მოსწ.
(რაოდენობა)

4: ნაჩვენებია დიაფილმები _____ ნახა _____ მოსწ.
(რაოდენობა)

5. ჩატარებულია დისპუტები, ვიქტორინები _____
(რაოდენობა)

მოსწავლეთა შორის _____ კლასებში, ქუჩაში მოძრაობის წესების მიხედვით.

6. გამოშვებულია _____ კედლის გაზეთი, სატირული ფურცლები _____ ფოტოვიტრინები _____ მოწყობილია _____ სტენდი (კუთხე) საგზაო მოძრაობის წესებზე.

7. კონკურსის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებები თუ არის აღრიცხული დღიურში _____.
(კი, არა)

8. კომკავშირული ორგანიზაცია თუ უწევს შეფობას პიონერულ ორგანიზაციას საგზაო მოძრაობის წესების ათვისებაში _____
(კი, არა)

9. აწარმოებს თუ არა კომკავშირული ორგანიზაცია საპატრულო სამსახურს სკოლის მახლობლად საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევებთან ბრძოლის მიზნით _____
(კი, არა)

10. სკოლაში ჩატარებულია_____ მშობელთა კრება, მასშორის_____ბავშვთა საგზაო ტრავმატიზმის თავიდან აცილების მიზნით.

11. რამდენი მოსწავლე დაშავდა 1975 წელს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამო და რა ზომები იქნა მიღებული ხელმძღვანელობის მიერ _____

_____

_____

_____

_____

III. განმარტებით ბარათში, რომელიც ერთვის ანკეტას, უნდა იქნეს ასახული კონკურსის წესების შესრულების თანმიმდევრობა, ცალკეულ მასწავლებელთა, საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა, მოსწავლეთა და სხვა აქტივისტთა საქმიანობა, უნდა იქნეს ნაჩვენები მათი გვარი, სახელი, მამის სახელი, სამუშაო ადგილი, რომელ კლასში სწავლობენ და რა არის მათ მიერ გაკეთებული.

IV. ნაჩვენები უნდა იქნეს ის სამუშაო, რომელიც ჩაატარეს სკოლების შტაბების წევრებმა კონკურსის ორგანიზაციის პერიოდში, აღინიშნოს ის წარმატებანი, რასაც მათ მიაღწიეს კონკურსის პირობების შესრულებისას.

V. საქალაქო, სარაიონო საკონკურსო კომისიის განსახილველად უნდა გაიგზავნოს ანკეტა თანდართული განმარტებითი ბარათით და ყველა ის მასალა, რომლებიც ასახავენ შტაბის მუშაობას კონკურსის პირობების შესრულებისას (სკოლის, კედლის გაზეთის კომპლექტი, სატირულ-იუმორისტული ფურცლები, ვიქტორინის, დისპუტის მასალები და სხვა).

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _____

წ ე ვ რ ე ბ ი _____

_____

_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 10 მარტის ბრძანება № 175

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII კლასებში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის სწავლების შემოღების შესახებ

სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ კანონების უმკაცრესად დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და შეგნებულობის, პირადი დარწმუნებისა და სოციალისტურ საზოგადოებაში მორალური და სამართლებრივი ნორმების მკაცრი დაცვის, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობის შეგნების აღზრდას.

სახალხო განათლების ორგანოები, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, იუსტიციის ორგანოების დახმარებით, გარკვეულ მუშაობას ატარებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმეში, მეცნიერებათა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლების პროცესში, კლასგარეშე მუშაობის გზით. ჩვენი რესპუბლიკის რვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VIII კლასებში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ ექსპერიმენტულმა სწავლებამ, რომელიც სამ წელი გრძელდებოდა, ნათელყო მოსწავლეთა

იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და სამართლებრივ აღზრდაში, მოზარდთა შორის სამართლდარღვევის პროფილაქტიკაში ამ საგნის ეფექტურობა.

მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1975—1976 სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII კლასებში შემოღებულ იქნეს „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროების მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამითა და სახელმძღვანელოთი.

2. „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლებისათვის გამოიყოს კვირაში ერთი საათი (წელიწადში 35 საათი) საათების საერთო რაოდენობის ფარგლებში, იმ ფაკულტატიური მეცადინეობისათვის საათების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მერვე კლასების სასწავლო გეგმებით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებსა და რვაწლიანი განათლების მოწმობაში სასწავლო საგნების ჩამონათვალში შეტანილ იქნეს „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“, საგნის „ისტორიის“ დასახელების შემდეგ.

სასკოლო ჟურნალებში შემოღებულ იქნეს აღნიშნულ საგნებში დამუშავებული საპროგრამო მასალისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვა.

4. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლება დააკისრონ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ყველაზე მოწინავე და გამოცდილ მასწავლებლებს; განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ კურსის მასწავლებლებად გამოიყენონ სხვა საგნების მოწინავე მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი გადამზადება.

5. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორებმა უზრუნველყონ:

ა) სასკოლო ბიბლიოთეკების დამატებითი შევსება მეცნიერულ-პოპულარული, საცნობარო, მეთოდური ლიტერატურით და ხელ-ჩინოებით საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე;

ბ) მასწავლებლთა აგვისტოს თათბირებზე, სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე განიხილონ საკითხი VIII კლასში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის შემოღების შესახებ.

6. მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ლ. მნათობიშვილი, ზ. როგავა) უზრუნველყონ 1975 წლის 1-ელ ივნისამდე „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ პროგრამისა და სახელმძღვანელოს გამოცემა და სკოლებამდე დაგზავნა.

7. მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილი) 1975 წლის 1-ელ ივნისამდე უზრუნველყოს მეთოდური რეკომენდაციის მომზადება, გამოცემა და სკოლებამდე დაგზავნა მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შესახებ.

8. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) უზრუნველყონ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ მასწავლებელთა გადამზადება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე) მოაგვაროს საკითხი პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტების ბაზაზე „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ მასწავლებელთა მომზადების შესახებ.

10. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) უზრუნველყონ მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდური მასალების სისტემატური გამოქვეყნება „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის სწავლებასთან დაკავშირებით.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) 1975—1976 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შეისწავლოს რესპუბლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „საბჭოთა სახელმწი-

ფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეგზავნება: ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებებს, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს, პედაგოგიკისა და დახელოვნების ინსტიტუტების დირექციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ რ ო ნ ი კ ა

განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო გაცნობებთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი „რვაწლიანი განათლების მოწმობები“ გაუქმებულია, როგორც დაკარგული: სერია „A“ № 696766, 696767, 696768, 696769, 696770, 696771, 696772, 696773, 696774.

სკოლების სამმართველოს
უფროსი **რ. ს. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1109—ქ. გორის, ბოლნისის, გორის, ლანჩხუთის, წითელწყაროს, ლენტეხის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . .
2. ბრძანება № 51—37—რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ზოგადი საშუალო განათლებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . .
3. ბრძანება № 54—სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის № 39 დადგენილების შესრულების შესახებ . . . . . .
4. ბრძანება № 58—რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულების ამოცანების შესახებ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით . .
5. ბრძანება № 94—ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდური მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ . . . . . .
6. ბრძანება № 132—ქუთაისის (გუმათის) დამხმარე სკოლა-ინტერნატში სასწავლო-საღმრთელო მუშაობისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . .
7. ბრძანება № 133—ბოლნისის რაიონის სოფელ მუსოპრიანის რვაწლიან სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ . . . . . .
8. ბრძანება № 153—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1974 წლის საკურსო ღონისძიებათა შესრულებისა და 1975 წლის გეგმის შესახებ . . . . .
9. ბრძანება № 175—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII კლასებში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის სწავლების შემოღების შესახებ 90
13. ქრონიკა—განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ . . 94

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-75 წ. ინაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფურცლთა რაოდენობა 6

შეკვ. № 399 უე—04613 ტირაჟი 5.000.

სგკ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19